შოთა რუსთაველი არაერთი ასპექტით ნოვატორი მწერალია, ერთი მხრივ, გელათი იყალთოს ტრივიუმ-კვადრივიუმის აკადემიური სისტემით აღზრდილი, ხოლო, მეორე მხრივ – ტრადიციის, ქართული შუასაუკუნეობრივი ლიტერატურული კანონის გამგრძელებელი (რადგანაც ეს ორი აკადემია წინარე პერიოდის გამოცდილების მიმდებარე და თარგმანთა გზით ნოვაციის დამწერგავიც); ერთი მხრივ, მოდელის გაცხადებით გარკვეული ყალიბის, ნორმის მიმდევარი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მოდელისა და სტანდარტის ფარგლების შემოქმედებითი თვალთახედვით დამრღვევი (მაგალითად ხასიათები, პერსონაჟთა ტიპები გამოგვადგება). „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ერთი მხრივ, იღებს წინარე პერიოდის ლიტერატურული კანონის ტრადიციებს, სასულიერო, საერო, ფოლკკულტურის მიღწევებს, ხოლო, მეორე მხრივ, ნოვატორია, რომელიც არა მხოლოდ თავად ქმნის სიახლეს, არამედ ნეოპლატონიკოს ქრისტიან შემოქმედთა (ქართველთა, გელათი-იყალთოს გზით) და ბიზანტიელთა (თარგმანთა მეშვეობით) მიღწევებსაც სინთეზირებს. შესაბამისად, ვიღებთ, ერთი მხრივ, ლიტერატურული კანონის გაგრძელებას, მეორე მხრივ – ლიტერატურულ ნოვაციას. ტრადიციული ლიტერატურული კანონი ქართულ სივრცეში სასულიერო მწერლობას უკავშირდება. სასულიერო ლიტერატურას (აღმოსავლურ საერო-სამიჯნურო, დასავლურ ფილოსოფიურ და ეროვნულ-ფოლკლორულ ნაკადებთან ერთად) უკავშირდება საერო ლიტერატურის აღმოცენებაც. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსნის“ კვეთა როგორც აგიოგრაფიასთან, ისე ყველა დასახელებულ წყაროსთან არაერთგზის აღნიშნულა. არახალია „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანისგან“ მისი მკვეთრი ჟანრობრივი განსხვავებაც და ის შაბლონიც (4 ნიშანი), რომელიც სადევგმირო ეპოსის აგიოგრაფიასთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ასევე ცნობილია, რომ „საერო ლიტერატურას ამზადებდა შინაარსობრივად უძველესი აგიოგრაფია... აგიოგრაფიულმა ბელეტრისტიკამ ქართველი მკითხველი საზოგადოე-

ბა მიიყვანა საერო მხატვრული რომანის სალარომდე. ის მკითხველი, რომელიც იცნობდა „წმინდა მხედრების“ თავგადასავალს, ... ადვილად მოკიდებდა ხელს „ამირანდარეჯანიანის“ სადეგმირო მოთხრობებს“ (კეკელიძე); იგივე ითქმის „ვეფხისტყაოსანზეც“. მიუხედავად ამისა, საინტერესოა კიდევ ერთხელ ტრადიციულობისა და ნოვაციურობის კონტექსტში იმის განხილვა, თუ რას იღებს ლიტერატურული კანონისგან შოთა რუსთაველი და რა არის ის სიახლე, რომელთა შემოქმედებითი სინთეზირება-ტრანსფორმაციაც გვაძლევს გენიალურ პოემას. როგორც ტრადიცია, ისე სიახლე ეხება როგორც ფორმას, ისე შინაარსს, 1. უანრობრივ, 2. სიუჟეტურ-კომპოზიციურ, 3. იდეურ-კონცეპტუალურ, 4. იდეოლოგიურ რაკურსს, 5. პერსონაჟთა პალიტრას, 6. მხატვრულ სახეობრივ სისტემას. მიზეზად კი გვესახება პოლიტიკურ-კულტურულ რეალობასთან (ეპოქალური ცვლილებები ქართველთა სასახლის კარის ცხოვრებაში, რეალური პერიპეტეიები, რაც მეფის კულტის მიუხედავად, ორი მოდელის – რეალურ-იდეალურის ნარმოჩენაშიც ისახება), ერთად ქრისტიანული მიდგომის ცვლა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ცვლილება როგორც საკუთრივ საეკლესიო-სასულიერო, ისე საერო ლიტერატურულ ხედვაში (გელათი-იყალთოს ფილოსოფიური ხედვა, პლატონური იდეები, ფიქცია-რეალობის პარალელური არსებობა, ადამიანი – სანუთრო დიქტომიის რუსთველური ხედვა, გმირი-სატრფო წყვილის ახალი შინაარსობრივი დატვირთვა); ენობრივი ინოვაციები (სიტყვათწარმოება, კონსტრუქციები, ზმნური ფორმები) და ანტიკური ფიგურები (მხატვრულ ფორმათა პალიტრა).

## **SOPHIO CHKHATARASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **Rustaveli and his Poem as Transpired by Maxim Rilski**

In Ukrainian literary studies the reception of Rustaveli and his “The Knight in the panther’s skin” keeps actuality a dozen years. In the beginning of the 20th century prominent Ukrainian translators and poets expressed considerable interest in “The Knight in the panther’s skin” (MPS) by Rustaveli. One of the scholars was Maxim Rilski, a member of the Neo-Classic group, translator and theoretician of translation theory. As revealed by the research material, Rilski’s thoughts regarding the MPS are close to the translation theories as transpired in the works of Neo-Classics. “Two Rilskis live in me: a free Rilski and a refugee” the poet repeated to himself. This phrase attracts the reader to the interpretation of the MPS and its author as seen by the refugee and a free person. (Rilski’s creative talent is frequently discussed by Anti-Soviet emigration). Shota Rustaveli and his poem are presented from a different angle in Maxim Rilski’s poems, translations and

critical reviews about Rustaveli. While exploring Rustaveli's epic, Rilski tackles the following issues: ideology of Rustaveli as a poet and philosopher; challenges regarding the translation of the MPS into Ukrainian and the ways to solve them; and the place of the MPS in Ukrainian literature. Maxim Rilski considers Rustaveli a genial author. The issue, raised so, needs contextual analysis of epoch and the translative trends of Author.

## **სოფიო ჩხატარაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **რუსთველი და მისი პოემა მაქსიმ რილსკის ნააზრევში**

უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში რუსთველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფცია ათეული წლებია აქტუალობას არ კარგავს. მეოცე საუკუნის დასწყისში „ვეფხისტყაოსნით“ ინტერესდებიან ცნობილი უკრაინელი მთარგმნელები და პოეტები. ერთ-ერთი ასეთია ნეოკლასიკოსების ჯგუფის გამორჩეული წევრი, მთარგმნელი და თარგმანის თეორეტიკოსი – მაქსიმ რილსკი. როგორც საკვლევე მასალა გვიჩვენებს, რილსკის მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ახლოს დგას ნეოკლასიკოსების მთარგმნელობით კონცეფციებთან და საზიარო ავტორის თეორიულ ნააზრევთან. „ჩემში ორი რილსკი ცხოვრობს: რილსკი თავი-სუფალი და რილსკი დევნილი“ – ამბობდა ხოლმე ჩუმად მწერალი. მოშველიებული ფრაზა უფრო ამძაფრებს ინტერესს ერთდროულად დევნილი და თავისუფალი მაქსიმ რილსკის თვალთ დანახული რუსთველისა და -მისი პოემის შესახებ (რილსკის შემოქმედებითი ტალანტის შესახებ ბევრს საუბრობდა ანტისაბჭოთა ემიგრაცია). მაქსიმ რილსკის შემოქმედებაში შოთა რუსთაველი და მისი პოემა სხვადასხვა რაკურსითაა წარმოდგენილი: ვგულისხმობთ საავტორო, მიძღვნილი ხასიათის ლექსებს, თარგმანებსა და კრიტიკული წერილებს რუსთველის შესახებ. რილსკის რუსთველის პოემაზე დაკვირვებისას აინტერესებს შემდეგი საკითხები: რუსთველის იდეოლოგია, როგორც პოეტისა და ფილოსოფოსისა; „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულად თარგმნის საკითხი (სირთულეები და მათი გადაჭრის გზები); „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი უკრაინულ ლიტერატურაში. რუსთაველი, როგორც ავტორი, მაქსიმ რილსკის ნააზრევში მსოფლიო გენიოსია. საკითხის ამგვარად დასმა მოითხოვს ავტორისა და ეპოქის მთარგმნელობითი ტენდენციების (როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მ. რილსკისეული რეცეფციის განმაპირობებელი ფაქტორის) კონტექსტუალურ ანალიზს.



**PAUL CREGO**

*USA, Washington DC*

*Library of Congress*

### **Georgian Collection at the U.S. Library of Congress**

Part of the United States Library of Congress' mission statement reads that the library exists "to sustain and preserve a universal collection of knowledge and creativity for future generations." We recognize that we are often collecting books for the future, that is, for future scholars and readers who will find things in our collection that often are available nowhere else. Such is the place of our collection of Georgian language material and material in other languages about the Republic of Georgia and its people. We now have nearly 10,000 titles in our data base that are coded for Georgian (only Harvard University has more). My paper will talk about the contours of the collections in terms of subjects and genres. I will speak as well about the ways in which we have historically acquired Georgian books and how it is that we acquire them now, with some attention to the acquisition of books that will fill gaps in our collection.

**KETEVAN ELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **The Artistic Phenomenon of "Life's Sadness"**

From ancient times till today the religious and philosophical discourse of mankind is oriented on "competition of life and death". This is the try to "read" the sepulchral world from human's position and our momentary, beautiful and unprotected visit on earth is "God's will", though part of the ancient people had ended their lives by suicide. The Georgian paradigm of suicide should be analyzed from the angle of "Christian perspective", because Georgia was considered as the country of Christian culture, as well as Georgian literature, though sometimes our literature was choosing rather peculiar "ways" towards some issues. One them is exactly the phenomenon of suicide, which represented unusually, despite the Christian traditions. The fact that the beginning of it was given by "The Knight in the Panther's Skin" of Shota Rustaveli, is not accidental either. It is universal masterpiece of Georgian spirituality – which is actual and the matter of discussion till nowadays. The example of this is the conception of suicide in "The Knight in the Panther's Skin", that was created by Rustaveli in the far XII century – though in the range of artistic thinking. While Europe managed to reach this truth only in XIX century by "Suicide" of Emile Durkheim (1897), which created modern



suicidology. Rustaveli was not indifferent to this “fatal disease” of mankind and described the suicide scene of Davari, in “The Knight in the Panther’s Skin”, conceptually – without harsh emotions and created the universal conception by formulating the “Sad Life”. Scientific estimations of Davari’s act are abruptly negative till nowadays, that silences something that should be told and provokes many questions... More importantly, after “The Knight in the Panther’s Skin” till the XIX century, there is a huge vacuum in analyzing the suicide.

## **ქეთევან ქლავილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„სიცოცხლის გასაწყინარების“ მხატვრული საზრისი**

უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, კაცობრიობის რელიგიურ-ფილოსოფიური თუ კულტურუროლოგიური დისკურსი – „სიკვდილ-სიცოცხლის პაექრობაზე“ ორიენტირებული. ყოველივე ეს კი მიღმიური სამყაროს ადამიანური თვალსაწიერით „ნაკითხვის“ მცდელობაა, ხოლო მშვენიერი, წამიერი და სრულიად დაუცველი ჩვენი სტუმრობა წუთისოფელში კი უფლისმიერი „კანონიკაა“. თუმცა უძველეს ადამიანთა გარკვეული ნაწილი ხშირად წინმსწრებად – საკუთარი ნებითაც ტოვებდა საწუთროს, ადამიანური ლოგიკის „უზენაესობით“.

ამიტომ ფრიად საინტერესოა ამ კუთხით „ქართული აქცენტების“ თვალმიდევნება. ბუნებრივია, რომ სუიციდის ქართული პარადიგმა სწორედ „ქრისტიანული პერსპექტივის“ ჭრილში უნდა იყოს გაშინაარსებული, მაგრამ ზოგჯერ ქართული მწერლობა სრულიად არაორდინალურ „გზასაც“ კი ირჩევდა გარკვეული თემატიკის მიმართ. ერთ-ერთი სწორედ სუიციდის ფენომენია, რომელიც, მიუხედავად ქრისტიანული ტრადიციებისა, ფრიად უჩვეულოდაა ჩვენში წარმოდგენილი. ასევე არც ისაა შემთხვევითი, რომ ამის დასაბამი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ უნდა მიეცა. ის ხომ ქართული სულიერების უძველესი საზრისია – თავისი თეოლოგიურ-ფილოსოფიურ დებულებათა თავისუფალი ინტერპრეტირებანით, საკუთარი „მხატვრული კანონიკის“ შექმნითა თუ კულტუროლოგიური დისკურსის „მისტიკით“. ამის თვითკმარი ნიმუშია სუიციდის ვეფხისტყაოსნისეული კონცეფცია, რომელიც შოთა რუსთაველმა, ჯერ კიდევ XII საუკუნეში შექმნა – ოღონდ მხატვრული აზროვნების ფარგლებში; ესაა – „სიცოცხლის გასაწყინარება“.

ამ ჭეშმარიტებამდე მისვლა და მისი გაშინაარსება მთელმა ევროპამ მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულს შეძლო ემილ დიურკჰაიმის ქრესტომათიული ნაშრომით – „თვითმკვლელობა“, 1897 წელი, რამაც განაპირობა თანამედროვე სუიციდოლოგიის განვითარება – მოტი-

ვირებული რელიგიურ-ზნეობრივი დისკურსითა თუ მსოფლიო მწერლობის რჩეული ნიმუშების განზოგადებით. საგულისხმოა ისიც, რომ კაცობრიობის ამ „ფატალური სენის“ მიმართ არც რუსთაველი უნდა დარჩენილიყო გულგრილი. უფრო მეტიც – გარკვეულწილად ამ მიზანსცენას ავტორი გრძნობათა გარეთ აღწერს და გონების ზეობით ქმნის სუიციდის მხატვრული საზრისის ერთ-ერთ სრულყოფილ კონცეფციას, რომელიც, რატომღაც, დავარის ნეგატიური სამეცნიერო „განკითხვანით“ ერთგვარად გადაფარულია, რაც მრავალ კითხვას ტოვებს უპასუხოდ...

აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ქართველი ერი სუიციდის ზნეობრივი თვითშეცნობისა თუ თვითშეფასების საკუთარ გზას ადგა ყოველთვის და სრულიად ემიჯნებოდა როგორც დასავლეთს, ისევე აღმოსავლეთს. ეგებ ამიტომაც იყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ XIX საუკუნემდე (ვაჟა-ფშაველამდე და ალექსანდრე ყაზბეგამდე) ერთგვარი „მხატვრული ვაკუუმი“ შეიმჩნეოდა სწორედ თვითმკვლელობის მხატვრულ გააზრებაში, რომელიც სულის ამბოხისა თუ სულის დაშრეტის მარადიულ დილემას წარმოადგენდა.

## **MAKA ELBAKIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **“The Knight in the Panther’s Skin” and Western Chivalry Novel**

The structural and compositional arrangement of “The Knight in the Panther’s Skin” (rather wide area of action, specificity of descriptive factor, polyphony of “narration”, specific chronotope – “adventure time” (M. Bakhtin) and closed/opened space, cyclization of composition, artistic function of wandering/quest, etc), ideological and thematic motives (political and ideological background – feudal court, social environment and the circle of characters – chivalry society, vassalage institute; concept of love – rank character, principles of service; conventional motives – madness, pouring of blood tears, love torments, desire of death, going into wild, etc.) and compositional elements display enough resemblance with a genre which is known as Romance. In spite of this, it should be mentioned that KPS is not a typical specimen of the medieval chivalry (courtly) romance. There is a diversity of specific features which indicates rather high level of genre development. They are: structural peculiarities of the KPS, Rustaveli’s specific style of depicting the characters, substitution of allegoric plane by real one, etc. With account of these factors we can conclude that from the viewpoint of genre

the KPS is a Romance which in the so-called transitory time (late Middle Ages/Renaissance) must be considered as a new stage of genre gradation, its highly developed form according to renovated construction, forms of expression (plasticity and multifacetedness of the narrative) or conceptual principles.

## **მაკა ელზაძიძე**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„ვეფხისტყაოსანი“ და ევროპული რაინდული რომანი**

„ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურულ-კომპოზიციური ორგანიზება (მოქმედების ფართო სივრცული არეალი, დესკრიფციული ფაქტორის სპეციფიკურობა, ნარატივის „პოლიფონიურობა“, სპეციფიკური ქრონოტოპი, კომპოზიციის წრიულობა, ხეციალის/dიების მხატვრული ფუნქცია და ა.შ.), იდეურ-თემატური მოტივები (პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფონი – ფეოდალური კარი, სოციალური გარემო და პერსონაჟთა წრე – რაინდული საზოგადოება, ვასალიტეტის ინსტიტუტი; მიჯნურობის კონცეფცია) და კომპოზიციური ელემენტები საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს შუასაუკუნეების ევროპულ რაინდულ რომანთან (Romance). მიუხედავად ამისა, უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის შუასაუკუნეების რაინდული რომანის (მით უფრო კურტუაზიული ლიტერატურის) ტიპური ნიმუში. თხზულებაში გვხვდება მთელი რიგი სპეციფიკური მხარეები, რომლებიც უანრის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მიგვანიშნებს. ესენია: ვეფხისტყაოსნის სტრუქტურული თავისებურება (ორსაფეხუროვანი სინტაგმატური სტრუქტურის ნაცვლად ერთიანი და განუყოფელი სტრუქტურის არსებობა, ბრძოლათა, ტურნირთა თუ მოგზაურობათა დესკრიფციული მხარის მინიმალიზება და ამ პასაჟთა ინფორმაციული ფუნქციის ზრდა); ინოცვაცია სიყვარულის კონცეფციის კურტუაზიულ მოდელში – კონვენციებში ფსიქოლოგიური მოტივაციის შეტანა, მათი ტროპის ფუნქციამდე დაყვანა; სასიყვარულო განცდათა დრამატიზირება ფსიქო-ემოციური ფაქტორის ხარჯზე; პერსონაჟთა ხატვის რუსთველისეული მანერა, ალეგორიული პლანის რეალური პლანით შეცვლა (ფანტასტიკური ელემენტების მინიმალიზაცია; ლიტერატურული აბსტრაქციის კონკრეტიზება; იდეალური სქემების (პერსონაჟების) ტრანსფორმირება მათში ფსიქოლოგიური სიზუსტისა და სიმართლის შეტანის გზით) და ა.შ. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უანრობრივი თვალსაზრისით არის შუასაუკუნეების რაინდული რომანი, რომელიც ე.წ. „გარდამავალ დროში“ (გვიანდელი შუასაუკუნეები/რენესანსი) განახლებული კონსტრუქციის, გამომსახველობითი

ფორმებისა (ნარატივის პლასტიკურობა და მრავალპლანიანობა) თუ კონცეპტუალური პრინციპების კვალობაზე ჟანრის გრადაციის ახალ ეტაპად, მის მაღალგანვითარებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

**LANA GABRIADZE**

*Georgia, Tbilisi*

*PhD at Ivane JavakhiSvili Tbilisi State University*

### **Battle Subjects in Illuminations of Manuscripts of Late Middle Ages in Georgia Manuscripts of “The Knight in the Panther’s Skin” and “Utrutian-Saamiani”**

1. Battle subjects are represented in Georgian painting of Middle Ages in wall paintings of churches as well as in illuminations of manuscripts. They represent the main part of miniatures of secular manuscripts in late medieval Georgia. There are Psalters preserved from 15th century, which are decorated with paintings representing the subjects of war. As for secular manuscripts, there are codices from 17th century containing literary writings decorated with battle subjects – Georgian poem “The Knight in the Panther’s Skin” and Georgian versions and translations of Persian literature. Our research is concentrated on two manuscripts preserved in National Centre of Manuscripts – “The Knight in the Panther’s Skin” (S599) and “Utrutian-Saamiani” (S1594). 2. The person who wrote texts into both of the codices is Mamuka Tavakarashvili, who was close to royal court in west part of Georgia. He was the painter of illuminations of codex S599 that is confirmed by the notes made in the manuscript. There is no notable information about who should have been the illustrator of “Utrutian-Saamiani” (S1594). Stylistic-iconographic analysis suggests that miniatures of the codex S1594 should have been painted by the several artists. 3. Compositional arrangement and stylistic-iconographic analyzes shows that there are three groups of miniatures in codex S1594. First group consists of the scenes including mainly two characters concentrated in the center of composition. Second group of miniatures includes the scenes with multiple characters – cavalymen. Stylistic side of miniatures of both groups is pictorial and forms are dramatically disproportionate. Third group of miniatures includes compositions with multiple characters and the manner of painting is graphic; Iconographic characteristics of the characters are different from the manuscripts of first two groups. 4. Only a small part of miniatures of the codex S599 – “The Knight in the Panther’s Skin” – are representation of battle subjects. Unlike the codex S599, there are only a few miniatures in the manuscript S1594 that are not representing the war subject. 5. The comparative research of stylistic-iconographic characteristics and compositional arrangement of the miniatures of both manuscripts is the aim of our article – whether it is possible that Mamuka Tavakarashvili is the illustrator of both manuscripts.

## ლანა ბაბრიაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

### **ბატალური სიუჟეტები გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა მოხატულობაში „ვეფხისტყაოსნისა“ და „უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერთა მაგალითზე**

შუა საუკუნეების ქართული საერო ხელნაწერების მხატვრული შემკულობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ბრძოლის ამსახველი სიუჟეტები. ბატალური ხასიათის სცენები შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში გამოისახება როგორც ხელნაწერთა მინიატურებში, ისე კედლის მხატვრობაში. ჩვენამდე შემონახულია XV საუკუნეში გადაწერილი ფსალმუნები, რომელთა დასურათებშიც საბრძოლო ხასიათის სიუჟეტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რაც შეეხება საერო ხელნაწერთა გაფორმებას, ბატალური სიუჟეტებით შემკული კოდექსები მოიპოვება XVII საუკუნიდან მოყოლებული „ვეფხისტყაოსნის“ და სპარსულ ლიტერატურულ ძეგლთა ქართული ვერსიებისა თუ თარგმანების სახით. მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერებია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი კოდექსი – „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა (S-599) გადანერვილი 1646 წელს და „უთრუთიან-საამიანის“ (S-1594). 2. გადანერვილი 1647 წელს. „ვეფხისტყაოსნისა“ და „უთრუთიან-საამიანის“ ხელნაწერთა გადამწერია იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის მდივანი მამუკა თავაქარაშვილი. მას ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის ბძანებით გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი“, რომლის მომხატავიც თავადვე ყოფილა. გადამწერის ვინაობას, ორივე შემთხვევაში, გვამცნობს ანდერძი. ხელნაწერი S-1594-ის მინიატურათა ოსტატის შესახებ კოდექსში მინაწერები არ გვხვდება. მინიატურათა იკონოგრაფიულ-სტილისტური ანალიზის შედეგად აშკარაა, რომ ხელნაწერის მხატვრობაში გაირჩევა რამდენიმე ოსტატის ხელი. 3. S-1594 ხელნაწერში სცენათა იკონოგრაფიული სქემის, ისევე როგორც კომპოზიციური გადანყვეტის მიხედვით გამოიყოფა მინიატურათა სამი რიგი. პირველ რიგს მიეკუთვნება ძირითადად ქვეით პერსონაჟთა ორფიგურიანი ცენტრული კომპოზიციები, რომელთა შესრულების სტილიც ფერწერულია, ხოლო ფორმათგანცდა მკვეთრად დისპროპორციული; მეორე რიგში ერთიანდება ცხენოსანთა მრავალფიგურიანი კომპოზიციები შესრულების ფერწერული მანერითა და მკვეთრი დისპროპოსციით; მესამე რიგს ქმნის მრავალფიგურიანი კომპოზიციები შესრულების მკვეთრად გამოხატული გრაფიკული მანერით და პირველი ორი რიგის პერსონაჟებისაგან სხვაგვარი იკონოგრაფიული მახასიათებლებით. 4. „ვეფხისტყაოს-

ნის“ ხელნაწერის მინიატურების მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენს ბრძოლის სცენას. „უთრუთიან-საამიანის“ მინიატურები კი, მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, უშუალოდ ბრძოლის პროცესს ასახავს. ნაშრომში მოცემულია ამ მინიატურათა კომპოზიციური, იკონოგრაფიული და სტილისტური მახასიათებლების შედარება. 5. ნაშრომის მიზანია ამ ორი ხელნაწერის მინიატურათა მიმართების წარმოჩენა, სახელდობრ, იმის ჩვენება თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ორივე ხელნაწერის მომხატავი ყოფილიყო მამუკა თავაქარაშვილი.

## **IAMZE GAGUA**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### **Morall Code of Epic Heroes**

#### **(“Iliad”, “Aeneid” and “The Knight in the Panther’s Skin”)**

Every era and every nation produce their heroes. The names of ideal heroes immortalized in arts and literature are transmitted from generation to generation. What are the features of heroism? What are the criteria used to identify it? What are the norms of behaviour universally acceptable or unacceptable for all eras and nations? War, as the greatest of evils, promotes such features in people that are inadmissible in peacetime, but war introduces its moral laws. What are the parameters of war ethics? What are the features of a kind fighter? The same answers to the questions can be found in literary masterpieces like Homer’s “Iliad”, Virgil’s “Aeneid”, and Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin”. To Highlight features of ideal heroes, it is necessary to concentrate on the following issues: 1. Outward appearance and physical force; 2. War and justness; 3. Temperance in cruel war; 4. Approach to loot; 5. Tolerance; 6. Repentance. It is no surprise that heroes make mistakes in extreme situations. Heroes sometimes find themselves facing an unexpected dilemma and they have no time for thinking. Homer’s, Virgil’s and Rustaveli’s heroes are not unmistakable. They are mortals and human weakness are not unknown to them. That is why their behaviour is always convincing – both when they violate ethic norms in extreme situations and when they act in accordance with moral norms. All of three heroes are the winners. Achilles wins in the war. But most important is that he returns ability of charity. Aeneas finds new homeland for trojans. Tariel wins in the both wars – for his sweetheart and for the native country also. Those two victories are related to each other.

## იამზე გავსა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ეპიკური გმირის ზნეობრივი კოდექსი („ილიადის“, „ენეადისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

ყოველი ეპოქა, ყოველი ხალხი თავის გმირს აჩენს. თაობიდან თაობას გადაეცემა მითოლოგიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურულ ძეგლში უკვდავყოფილი იდეალური გმირის სახელი. რა ნიშან-თვისებები ახასიათებს გმირობას, რა კრიტერიუმებით განისაზღვრება იგი; რა არის უნივერსალური, ყველა ეპოქისა და ყველა ხალხისათვის ერთნაირად მოსაწონი ან მიუღებელი ქცევის ნორმები? ომი, როგორც უდიდესი ბოროტება, ადამიანის ისეთი თვისებების გამოვლენას უწყობს ხელს, რაც მშვიდობიანობის დროს მიუტევებელია. ომი თავის ზნეობრივ კანონებს აწესებს. რა პარამეტრებით განისაზღვრება საომარი ეთიკა, რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს ქველი მებრძოლი, ამაზე ერთნაირ პასუხს ვპოულობთ ისეთ ლიტერატურულ შედეგებში, როგორებიცაა: ჰომეროსის „ილიადა“, ვერგილიუსის „ენეიდა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. იდეალური გმირის თვისებების წარმოსაჩენად ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ მომენტებზე: 1. გარეგნობა და ფიზიკური სიძლიერე; 2. ომი და სამართლიანობა; 3. ზომიერება ფიცხელი ომის დროს; 4. ნადავლთან დამოკიდებულება; 5. ტოლერანტობა; 6. მშობლისა და მოხუც მებრძოლთა (თუნდაც მტრის) პატივისცემა; 7. გონიერება; 8. სინანული. შეცდომა ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფი გმირებისათვის არ არის გასაკვირი. ზოგჯერ გმირი მოულოდნელი დილემის წინაშე აღმოჩნდება, როცა მას დაფიქრების დრო არა აქვს. ჰომეროსის, ვერგილიუსისა და რუსთაველის გმირები არ არიან უშეცდომონი. ისინი მოკვდავები არიან და მათთვის უცხო არ არის ადამიანური სისუსტეები. ამიტომ არის ყველა შემთხვევაში მათი ქცევა დამაჯერებელი – მაშინაც, როცა ექსტრემალურ სიტუაციაში ჩავარდნილნი არღვევენ ეთიკურ ნორმებს და მაშინაც, როცა მოქმედებენ ზნეობრივი კანონების მიხედვით. სამივე გმირი გამარჯვებულია პოემის ბოლოს. რა მოუტანა მათ ამ გამარჯვებამ? აქილევსმა დაამარცხა ტროელები, დაიხსნა პატროკლეს გვამი და შური იძია ჰექტორზე; მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან საბოლოოდ გაიმარჯვა საკუთარ თავზე, დაიცხრო რისხვა და დაიბრუნა უნარი თანამობისა და შეწყალებისა, მიტევებისა, რაც უდიდეს ადამიანურ ღირსებად ითვლება და რამაც მას მოუტანა უკვდავი სახელი და აღიქმა. ჰომეროსმა აქილევსის წინააღმდეგობრივი ხასიათის ფონზე გვიჩვენა მისი ზნეობრივი ამაღლება. ენეასმა მიაღწია თავის მიზანს, მან მოუპოვა ტროელებს სამშობლო, შეასრულა ღმერთთა დავალება. ამდენად, იგი ვალმოხდილი გმირია თავის თანამემამულეთა წინაშე.



ენეასი ითვლება რომაელი მამაკაცისა და მებრძოლის იდეალად. პირადი ბედნიერების მაძიებელი ტარიელი კი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაშიც გამარჯვებული გამოდის. მისთვის ეს ორივე გამარჯვება ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

## **MERAB GHAGHANIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Tbilisi Free University*

### **The Way of Rustvelian Studies toward the Christian Author of Vekhistkaosani**

Rustavelian studies from its beginning, – from the first edition of Vekhistkaosani, edited and commented by king Vakhtang the VI, – answered the question on the author's religion confession that he was the orthodox Christian, in spite that this conception was not accepted by everyone in Pre-modern Georgian culture. Conception that Rustaveli was no anti-Christian, nor non-Christian or the member of any marginal branches of Christianity, was considered as common only a long time later.

The reasons that this path was so long are: the ignorance of Old Georgian theological-theoretical heritage, and – from the 19th century – the dominant nihilist attitude toward Christian tradition. It is also important to say that the secular or courteous stream in the Medieval Georgian literature was an exception of that period, which frames the time when was written Vekhistkaosani. There are three conceptions on origin of this type of literature in Georgia: the influence of the Persian poetry (N. Marr), the revival of the ancient, pagan Georgian culture (P. Ingorokva, Sh. Nutsubidze), the natural development of the Christian literature (K. Kekelidze).

The further studies confirmed that Rustaveli belongs to the Orthodox Christian Tradition, and that was conditioned by better theoretical knowledge of Christianity (K. Tsintsadze, V. Nozadze) and better available of Christian Georgian sources (I. Lolashvili, A. Gatsrelia, M. Rapava). On the other side, the pressure of the communist censorship was weakened in Georgia and the anticlerical tensions became not so dominant generally. The Christian Literary heritage was definitely recognized as the basis of the Medieval Georgian secular literature.

In 1960-1970's, when the new sources of the biography of the person who was considered as the author of Vekhistkaosani were discovered, the researches on Rustaveli's religion confession knitted together with the researches on Rustaveli's biography. The biographical researches showed that that person was a Christian. Some of the scholars considered that he was a bishop (P. Ratiani). When the dominance of the conception that the poet was a Christian, became clear, S. Nutsubidze represented the theory of two versions of Vekhistkaosani.



At the same time appears the theories on the connection of the author of Vekhistkaosani with the occult-esotherical sources (M. Gigineishivi, Z. Gamsakhurdia).

## **მერაბ ლალანიძე**

*საქართველო, თბილისი  
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი*

### **რუსთველის კვლევების გზა „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანი ავტორისაკენ**

მიუხედავად იმისა, რომ რუსთველის კვლევები თავის საწყისშივე – „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემიდან – პოემის ავტორის რელიგიურ აღმსარებლობად მართლმორწმუნე ქრისტიანობას მიიჩნევდა (რაც თავისთავად ძველ ქართულ კულტურულ სივრცეშივე არ იყო საყოველთაოდ გაზიარებული), მაინც ხანგრძლივი დრო დასჭირდა იმ თვალსაზრისის მყარად დამკვიდრებას, რომ პოემის ავტორი არც ანტიქრისტიანი, არც არაქრისტიანი და არც ქრისტიანობის რომელიმე მარგინალური მიმდინარეობის მიმდევარი არ ყოფილა.

საკითხის შესწავლა იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ეს რთული გზა განაპირობა, კონკრეტულად, ძველი ქართული თეოლოგიურ-თეორიული ცოდნის უკმარობამ, ხოლო, ზოგადად, ქრისტიანული მოძღვრების წყაროთა მიუწვდომლობამ თუ გაუთავისებლობამ, და კიდევ, მე-19 საუკუნიდან და, განსაკუთრებით, საუკუნის ბოლოდან გაბატონებულმა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ქრისტიანული მემკვიდრეობის მიმართ. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, გამორჩეულობა ქართული ეგრეთ წოდებული საერო-საკარო ლიტერატურისა, რომელიც ტრადიციულად „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ეპოქას უკავშირდება. ამგვარი ლიტერატურის წარმოშობის თეორია სამი განსხვავებულ კონცეფციის სახით ჩამოყალიბდა: სპარსული პოეზიის გავლენა (ნიკო მარი), ქართული წარმართული მემკვიდრეობის აღორძინება (პავლე ინგოროყვა, შალვა ნუცუბიძე), ქრისტიანული მწერლობის ორგანული განვითარება (კორნელი კეკელიძე).

რუსთველის ქრისტიანობასთან დაკავშირების საგანგებო მცდელობა იყო კორნელი კეკელიძის კვლევანი, თუმცა ამ კვლევებსაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მაინც გაჰყავდა ქრისტიანობის მაგისტრალური ფარგლების მიღმა და მიაკუთვნებდა მას „ბიბლიურ ქრისტიანობას“.

შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა რუსთველის კუთვნილება მართლმორწმუნე ქრისტიანობის წიაღისათვის, რაც იმჟამად განაპირობა ქრისტიანობის უკეთესმა თეორიულმა ცოდნამ (კალისტრატე ცინცაძე, ვიკტორ ნოზაძე) და ქართული ქრისტიანული ტექსტების

უკეთესმა ხელმისაწვდომობამ (ივანე ლოლაშვილი, აკაკი განერელია, მაია რაფავა). ამავე დროს, შესუსტდა, ერთი მხრივ, კომუნისტური იდეოლოგიის წნეხიც საქართველოში და, მეორე მხრივ, ლიბერალურ-ანტიკლერიკალური განწყობებიც ზოგადად. ეგრეთ ნოდებულისაერო-საკარო ლიტერატურის წარმოშობის კვლევისას კი სულ უფრო ნაკლებად და ფერმკრთალად განიხილებოდა ის თეორიები, რომლებიც საყრდენ საფუძვლად არ განიხილავდა ქრისტიანულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ამ ხანებში, 1960-1970-ე წლებში, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური კუთვნილების კვლევა გადაეჯაჭვა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხების კვლევას, რაც განპირობებული იყო იმ ახალი აღმოჩენებით, რომლებიც პოეტად მიჩნეული პიროვნების ბიოგრაფიას ქრისტიანობის ფარგლებში ათავსებდა. ამ ნაკადის უკიდურესი გამოვლინება იყო პოემის ავტორის ეპისკოპოსად მიჩნევა (პროკოფი რატიანი). როცა მკაფიოდ გამოიკვეთა რუსთველის მართლმორწმუნე ქრისტიანად აღიარების მხარდამჭერთა უპირატესობა, შალვა ნუცუბიძე აყალიბებს ახალ კონცეფციას ორი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

ამავე დროსვე ჩნდება თვალსაზრისი, რომელიც ჯერჯერობით მაინც ფრაგმენტულ კვლევებად რჩება: რუსთველის რელიგიურ შეხედულებათა დაკავშირება ეზოთერიულ-ოკულტურ მოძღვრებებთან (მანანა გიგინეიშვილი, ზვიად გამსახურდია).

## MANANA GELASHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### “Testament of Avtandil” in English

“Testament of Avtandil to King Rostevan” renowned for its philosophical depth and excellence of poetic form is one of the most important parts of ‘The Knight in the Panther’s Skin’ and because of it is particularly difficult to be translated into a foreign language. The article gives a comparative analyses of three different translations of the text into English based on different principles. Namely, a prose translation by Marjory Wardrop ((The Man in the Panther’s skin, A Romantic Epic by Shota Rustaveli, Oriental Translation Fund, London, 1912), a translation by Venera Usushadze based on hexameter (The Knight in the Panther’s Skin, Tbilisi, Sabchota Sakartvelo, 1968) and a recent poetic translation by Lyn Coffin (The Knight in the Panther Skin, Turkey, Poezia Press, 2015). Marjory Wardrop’s prose translation is a faithful rendering of the text. The sacrifice of the metric form was motivated by the translator’s endeavour to keep close to the text and express the meaning. However, with the emphasis on the meaning rather

than the form, Marjory Wardop still manages to re-create beauty of the imagery and aphorisms of the text in English. Hexameter, introduced in English through translations and later adopted by a number of poets, is not a widespread metrical form in English. Rustaveli's poem translated in hexameter resulted in an interesting text which manages to retain the epic grandeur of the poem. The recent poetic translation of the poem is an attempt to render the Georgian metric form of 'shairi' (sixteen-syllable lines forming a quatrain of double and triple rhymes) in English, which resulted in creating a highly artificial form. At the same time the depth of the thought, beauty of images, aphoristic style, etc. are often sacrificed at the expense of metric form. The article discusses a number of examples to demonstrate the achievements as well as short-comings of these three translations.

**ELENE GOGIASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State Univeristy*

### **Medieval Literary and Folklore Genres and Cultural Transfer**

Influence of "The Knight in the Panther's Skin" on Abkhazian Folklore In the study of literary genres of the Middle Ages, the interaction between literary and oral traditions is usually questioned. The medieval romances in Europe and in the Orient were influenced by Byzantine romance which absorbed from a number of folklore motifs. Chivalric epic poems are linked to both traditions: literature and folklore. The medieval romance played an enormous role in the development of the image of the fairytale hero, the medieval romance itself being a successor of the Ancient heritage. The connection of the fairytale motifs with mythology places the origins of the fairytale in the ancient times, but it is also heavily influenced by literature too. In Georgian folklore there are various versions of literary works which are completely transformed according to the rules of the oral tradition. An especially remarkable influence on Georgian folklore was made by the poem of the 12th century "The Knight in the Panther's Skin" by Shota Rustaveli. Besides of numerous prosaic and rhymed versions of Georgian folk epic "Tarieliani", in Caucasian folklore there are plentiful folktales which became a reflection of "The Knight in the Panther's Skin". In Abkhazian language, Tariel is a synonym of a hero similar to Georgian Tariel as an adjective word, meaning physically powerfull man. Furthermore, the names of the Author and the main characters of "The Knight in the Panther's Skin" were very popular amongst Abkhazian people: Shota, Tariel, Tandel (Avtandil), Arustan (Rostevan), Darjana (Nestan-Darejan), Tina (Tinatin) etc. The influence of "The Knight in the Panther's Skin" on Georgian and Abkhazian folkloric traditions was caused not only by the ideas and high values of the poem, but by common Caucasian concepts, characterizing for Caucasian traditional customs and culture in general.

## ელენე გომიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### შუა საუკუნეების ლიტერატურულ და ფოლკლორულ ჟანრთა კულტურული ტრანსფერი

„ვეფხისტყაოსნის“ გავლენა აფხაზურ ფოლკლორში შუა საუკუნეების ლიტერატურული ჟანრების შესწავლისას მუდმივად დგება მნიგნობრულ და ზეპირ თხრობით ტრადიციათა ურთიერთმიმართების საკითხი. ბიზანტიური რომანი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის შუა საუკუნეებში დასავლური და აღმოსავლური რომანის ფორმირებაში, ფოლკლორული ტრადიციით იყო ნაკვები. ლიტერატურისა და ფოლკლორის მიჯნაზე მდგომ საგმირო ეპოსს თანაბრად აქვს კავშირი ლიტერატურასთანაც და ზეპირსიტყვიერებასთანაც. ზღაპრის გმირის სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების სარაინდო რომანს, რომელსაც, თავის მხრივ, ბევრი რამ აქვს გამოყენებული ანტიკური მემკვიდრეობიდან. ხალხური ზღაპრის სიუჟეტებისა და მოტივების მითოლოგიასთან კავშირის გამო ზღაპარი უძველეს ფოლკლორულ ჟანრად არის მიჩნეული, მაგრამ ამავე დროს ის ლიტერატურის ძლიერ გავლენასაც განიცდის. ქართულ ფოლკლორში ამგვარ მოვლენას ხშირად ვაწყდებით ლიტერატურული ნაწარმოებების გახალხურებული ვერსიების სახით, რომლებიც სრულად ტრანსფორმირებული არიან ზეპირი თხრობის კანონების შესაბამისად. განსაკუთრებული გავლენა ქართულ ზეპირსიტყვიერებაზე მოახდინა „ვეფხისტყაოსნმა“. გარდა ქართული ხალხური „ტარიელიანის“ სალექსო და პროზაული ვარიანტებისა, „ვეფხისტყაოსნის“ კვალი ჩანს კავკასიის ხალხთა ფოლკლორშიც. საზღაპრო რეპერტუარის გარდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისადმი გამორჩეული დამოკიდებულება ჩანს სხვა თხრობით ტრადიციებში, ეთნოგრაფიულ სინამდვილესა და ყოველდღიურ ლექსიკაშიც. აფხაზურ ენაში ტარიელი გმირის სინონიმი იხვევ, როგორც მეგრულ ლექსიკაში – ტარიელი მეგრულად ზოგადად „გმირს“, „ძლიერს“ აღნიშნავს. გარდა ამისა, აფხაზებში პოპულარული იყო რუსთაველისა და მისი პოემის გმირების სახელები – შოთა, ტარიელი, თანდელ (ავთანდილი), რუსტან, არუსტან, ასტან (როსტევან, როსტან), დარჯანა, დარჯა, თინა, თინათ (თინათინ) და სხვ. გარდა მნიგნობრული გზით გავრცელებისა, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენას ქართულ და აფხაზურ ფოლკლორულ ტრადიციებზე ხელი უნდა შეეწყოს პოემის ზოგად იდეურ ღირებულებებს, რომლებიც არა მხოლოდ ადგილობრივი ქართული, ეროვნულ-ხალხური, არამედ კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფისთვის იყო დამახასიათებელი.

## IA GRIGALASHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### **Who Are the Kajis? (According to Georgian Historical Literary Work and Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's skin")**

According to "the Georgian Chronicle" the word "kaji" in Armenian means the "brave". According to the text of Vakhushti of Kartli's "Description of the Kingdom of Georgia" the castle of the kajis is similar to the Kajeti's castle that is described in Shota Rustaveli's poem. By Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's skin" the Kajis are the wizards, practicing magic. According to Davar's command black-skinned slaves put Nestan-Darejan in the ark "by using the methods of the wizard kajis". According to Patman's words these slaves are black-skinned people. While putting Nestan-Darejan in the ark the slaves were "crowing" the interjection "ippi, ippia". In old Georgian language by Sulkhana-Saba's explanation the crowing means "singing in voice". As foreigner linguists mention in the Western African language, in Wolof, the word "ippi" means "the foreign landscape". Davar orders the slaves to intercept Nestan into the unknown land. So the word meaning is equivalent to the content of the concrete episode of the poem. According to our observation, the slaves from Africa are crooning the chorus of the song from folk-lore, while putting Nestan in the ark. We'd heard English version of that song. The content of the song: Beloved Son is walking in valleys alone, remembers the eyes of his sweetheart, her beauty. Choir sing the chorus: "ippi, ippia". We've become interested in the English translations of "The Knight in the Panther's skin". In translated texts by Wardropes, Venera Urushadze, Katherine Vivian, Robert Stevenson the slaves are rude or the translators denote simply that they were crying joyfully. Nowhere is denoted that chorus. We've established that translators rely on the Georgian editors of the poem, also explanations of Akaki Shanidze, Nodar Natadze and the words "ippi, ippia" were explained as the interjection of expressing happiness. Though, there is not such interjection in Georgian language. As it turns out, the interpreters of the text of "The Knight in the Panther's skin" have associated "ippi, ippia" with the interjection of approval "if if!", which is incorrect. This mistake was repeated in English versions of the poem. We especially were interested with English translations of the poem because we hoped that the little detail of AfroAmerican culture would be reflected in translations, but our expectation didn't come true.

## ია გრიგალაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ვინ არიან ქაჯები?

### (ქართული საისტორიო მწერლობისა და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „ქაჯი“ სომხურად ნიშნავს „მამაცს“. ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს სამეფოს აღწერის ტექსტის მიხედვით „ქაჯთა ციხე“ მსგავსია შოთა რუსთაველის პოემაში აღწერილი ქაჯეთის ციხისა. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ქაჯები არიან გრძნეულნი, ჯადოქრობის მოქმედნი. დავარის ბრძანებით ნესტან-დარეჯანს ჩასვამენ შავი მონები „ქაჯებრითა პირითა“. ფატმანის თქმით, ეს მონები ზანგები არიან, შავები. ნესტან-დარეჯანის კიდობანში ჩასმისას მონები „ყვივიან“ „იპი, იპიას“. ძველ ქართულ ენაში, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ყვივილი ხმიანითა ღალადისს“ ნიშნავს. როგორც უცხოელი ენათმეცნიერები აღნიშნავენ დასავლეთ აფრიკულ ენაში, ვულუფში სიტყვა „იპი“ ნიშნავს „უცხო ლანდშაფტს“. დავარი მონებს უბრძანებს უცხო მხარეს გადახვეწონ ნესტანი. ასე რომ სიტყვების „იპი, იპია“ მნიშვნელობა შეესატყვისება პოემის კონკრეტული ეპიზოდის შინაარსს. ჩვენი დაკვირვებით, აფრიკული წარმოშობის მონები ფოლკლორული სიმღერის მისამღერს ღლინებენ ნესტანის კიდობანში ჩასმისას. ჩვენ ამ სიმღერის ინგლისურენოვანი თარგმანი გვაქვს მოსმენილი. სიმღერის შინაარსი ასეთია: შეყვარებული ვაჟი მართო დახეტილობს ველად, ახსენდება სატრფოს თვალები, მისი სილამაზე. ქორო მღერის მისამღერს: „იპი, იპია“. ჩვენ დავინტერესდით „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვანი თარგმანებით. მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძის, ქეთრინ ვივიანის, რობერტ სტივენსონის მიერ ნათარგმნ ტექსტებში მონები უხეშ არსებებადაა გამოყვანილი ან უბრალოდ აღნიშნულია, რომ მათ სიხარულით იყვირეს. არსად არ არის აღნიშნული მისამღერი ნახსენებიც კი. დავადგინეთ, რომ მთარგმნელები ეყრდნობიან პოემის ქართულ გამოცემებს, აგრეთვე აკაკი შანიძის, ნოდარ ნათაძის განმარტებებს, რომელთა მიხედვით „იპი, იპია“ განმარტებულია როგორც სიხარულის გამომხატველი შორისდებული. არადა, ქართულ ენაში ასეთი შორისდებული არ არსებობს. როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის განმარტებლებმა „იპი, იპია“ დაუკავშირეს მონონების გამომხატველ შორისდებულს „იფ, იფ!“ რაც არასწორია. ეს შეცდომა კი მექანიკურად განმეორდა პოემის ინგლისურენოვანი თარგმანებში. ჩვენ განსაკუთრებით დავინტერესდით პოემის ინგლისურენოვანი თარგმანებით, რადგან ველოდით, რომ აფროამერიკული კულტურის ერთი მცირე დეტალი პოეზება ასახვას, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა.

## NATO GULUA

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### **Levan Gotua's Drama "Shota Rustaveli" in the Context of Modern**

Literary Criticism Levan Gotua's Drama "Shota Rustaveli", written in the first four decades of the 20th century, was published after the death of the writer in 1979 year ("Soviet Art", № 4, editor-Tamaz Tchiladze). In fact, Georgian literary criticism did not show any interest towards this work, with the exception of certain responses (G.Kankava, literary letters, 1985). Our aim is to identify whether Levan Gotua's "Shota Rustaveli", according to its creating and printing dates, belongs to "Delayed Literature" or to "Socialist Realism". Analyzing this play from the modern approach will enable us to identify its place in writer's works and generally in the history of 20th century Georgian Drama. Creating the drama "Shota Rustaveli" was one of the bold attempts of expressing historical as well as modern legendary heroic character in Georgian literature. The lack of biographical information about Shota Rustaveli, various versions around his life spread in people helped the writer to stimulate his fantasy while imagining the recent events in the drama and creating the poet's artistic image. The author showed Shota Rustaveli as a different thinker, banished for neglecting the established rules and regulations. Levan Gotua, immigrant inward, obviously was particularly fascinated by the fate of the poet recognized after death. While creating Shota Rustaveli's psychological portrait the writer paid attention to hero's aspiration- defend his position, maintain dignity, put the love towards his homeland ahead rather than his personal interests. The magazine, which moved past events into the modern epoch by publishing Gotua's play opposed the time without hero, stagnation during Brejnev period when Georgian government was busy doing politics oriented on Kremlin instead of national one. During the process of printing "Shota Rustaveli" it was one year after the adoption of the constitution which was preceded by the severe protest of a society protecting Georgian as the national language. The establishment of Levan Gotua's drama after the lack of censorship in Georgia in the 70-80s over the last century is considered to be the response of the above mentioned events.

## **ნატო გულუა**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ლევან გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“**

თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის კონტექსტში გასული საუკუნის 40-იან წლებში დაწერილი ლ. გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“ მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1979 წელს დაიბეჭდა



(„საბჭოთა ხელოვნება“, №4, რედ. თამაზ ჭილაძე). ქართული ლიტერატურული კრიტიკა ფაქტობრივად არ დაინტერესებულა ამ ნაწარმოებით, თუ არ ჩავთვლით ცალკულ გამოხმაურებებს (გ. კანკავა, ლიტერატურული წერილები, 1985). ჩვენი ნაშრომის მიზანია, გავარკვიოთ ლ. გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“, მისი შექმნის და დაბეჭდვის თარიღების მიხედვით, „შეყოვნებულ“ ლიტერატურას მიეკუთვნება თუ „სოცრეალიზმს“. ამ პიესის თანამედროვე მიდგომით განხილვა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი ადგილი მწერლის შემოქმედებასა და საერთოდ მეოცე საუკუნის ქართული დრამატურგიის ისტორიაში. დრამის „შოთა რუსთაველი“ შექმნა ისტორიული და ამავე დროს ლეგენდარული, გმირული ხასიათის გამოსახვის ერთ-ერთი თამამი მცდელობა იყო ქართულ ლიტერატურაში. შოთა რუსთაველის შესახებ არსებული ბიოგრაფიული ცნობების სიმცირემ, მისი ცხოვრების ირგვლივ ხალხში გავრცელებულმა განსხვავებულმა ვერსიებმა დიდი გასაქანი მისცა მწერლის ფანტაზიას პოეტის მხატვრული სახის შექმნისა და დრამაში განვითარებული მოვლენების წარმოსახვისას. ავტორს შოთა რუსთაველი დახატული ჰყავს როგორც განსხვავებულად მოაზროვნე, დადგენილი წესებისა და ნორმების უარყოფისათვის განდევნილი. ლ. გოთუას, თავად შინაგან ემიგრანტს, ცხადია განსაკუთრებით ხიბლავდა სიკვდილის შემდეგ საყოველთაოდ აღიარებული პოეტის ბედი. შოთა რუსთაველის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისას მწერალს ყურადღება გამახვილებული აქვს გმირის მისწრაფებაზე – ბოლომდე დაიცვას საკუთარი პოზიცია, შეინარჩუნოს ადამიანური ღირსებები, პირად ინტერესებზე მაღლა დააყენოს სამშობლოსადმი სიყვარული. ყურნალი, რომელმაც გოთუას პიესის გამოქვეყნებით წარსულში განვითარებული მოვლენები თანამედროვე ეპოქაში გადმოიტანა, დაუპირისპირდა უგმირობის, ბრეჟნევისდროინდელ უძრავობის ხანას, როცა საქართველოს მთავრობა, ნაცვლად ეროვნულისა, კრემლზე ორიენტირებული პოლიტიკით იყო დაკავებული. „შოთა რუსთაველის“ დაბეჭდვის მომენტში ერთი წელი იყო გასული საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებიდან, რასაც წინ უძღოდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვასთან დაკავშირებული საზოგადოების მტკიცე პროტესტი. ლ. გოთუას დრამის გამოქვეყნება გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში ცენზურის ნაკლები სიმკაცრის შედეგად და ზემოხსენებული მოვლენების ერთგვარ გამოეხმაურებად მიგვაჩნია.



## MAIA JALIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

### Reception of Rustaveli in the Creations of Georgian Symbolists

Rustaveli with his poem „The Knight in the Panther’s Skin“ and his mythological-legendary biography is powerful creative impulse for georgian symbolists, who were trying to update art world with new ideas and expression techniques. Rustaveli’s artistic thinking and his high quality artistic components was as a source of past tradition, system, they considered such experience, which is to be worth given a new context. “The writer of the future must unite Rustaveli and Mallarmé”, wrote Georgian Modernist poet Titsian Tabidze and he outlined as a formula the future of Georgian poetry face. Rustaveli, a Georgian classic poet, expressed the best traditions of Georgian culture and Mallarmé, French poet, was a symbol of modern western modernist aesthetics culture. According to “The Blue Horn”, renewal of Rustaveli poetics and other old poetic traditions have been the basis of Georgian Symbolical poetry. Modernism meant for them, first of all, “Renaissance” of Rustaveli’s Poetic Experience (Valerian Gaprindashvili). Significant changes have occurred in the early twentieth century in Georgian literature. Modernist tendencies contributed to the establishment of a new aesthetics. Modernism opposed the worn and old “templates”, which was reigning in Georgian literature. The first task of Georgian symbolists was to restore the aesthetic value of artistic word. “Blue Horns” thought, that saint art backbone was broken for centuries. The backbone must restore by Symbolists with a direct connection to Rustaveli poetics. The bridge must be based with the help of Besik Gabashvili, the distinguished poet of the eighteenth century. “The main thing was, that “old Georgian Poetics” was the fertile ground and sources for symbolism. The “Blue Horns” thought that Georgia has gathered all his artistic energy in the “The knight in the Panther’s Skin”. They thought, that symbolism and old poetry similar to each other by intensity of creative.

### მაია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### რუსთაველის რეცეფცია ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში

„ვეფხისტყაოსანი“ და რუსთველი თავისი მითოლოგიურ-ლეგენდარული ბიოგრაფიით მძლავრი შემოქმედებითი იმპულსია ქართველი სიმბოლისტებისთვის, რომლებსაც მხატვრული სამყაროს გადახალისება-განახლების ერთ-ერთ წყაროდ წარსულის გამოცდილების ხელახალი აღორძინება მიაჩნდათ. რუსთველის პოეტიკა, მხატვრული

აზროვნების სისტემა, ტროპების მაღალი ხარისხი მათთვის იყო იმგვარი გამოცდილება, რომელიც უნდა მიეღოთ და ახალ კონტექსტში და გადაემუშავებინათ. „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის, როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტისმის და ფუტურიზმის“, – ასე ფორმულასავით გამოკვეთა ტიცციან ტაბიძემ მომავალი ქართული პოეზიის სახე. ცისფერყანწელთა აზრით, სწორედ რუსთაველის პოეტიკის აღორძინება უნდა ყოფილიყო ქართული პოეზიის განახლების საფუძველი. მათთვის სიმბოლიზმი ნიშნავდა „რუსთაველისა და ძველი პოეტების რენესანსს“ (ვალერიან გაფრინდაშვილი). მეოცე საუკუნის პირველ ოცნლეულში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართულ ლიტერატურაში. მოდერნისტულმა ტენდენციებმა ხელი შეუწყო ახალი ესთეტიკის დამკვიდრებას. მოდერნიზმი დაუპირისპირდა ლიტერატურაში გამეფებულ „ბატონ შაბლონს“, რომელიც „მალაყს გადადიოდა“ ქართულ მწერლობაში. ქართველმა სიმბოლისტებმა უპირველეს ამოცანად სიტყვის ესთეტიკური ფასეულობის აღდგენა დაისახეს მიზნად. ცისფერყანწელები ფიქრობდნენ, რომ საუკუნეთა განმავლობაში წმინდა ხელოვნების გატეხილი ხერხემალი სიმბოლისტებს უნდა აღედგინათ რუსთაველთან პირდაპირი კავშირით, მასთან ხიდის გადებით, ხოლო „საყრდენად“ ბესიკ გაბაშვილი გამოადგებოდათ, რომელსაც რუსთაველის პოეტიკის ღირსეული მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. ცისფერყანწელები ფიქრობდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „საქართველომ შეკრიბა მთელი თავისი მხატვრული ენერგია“, მათ კი ერთმანეთთან ანათესავებდათ „შემოქმედების ინტენსივობა“. ტიცციან ტაბიძის აზრით, ბესიკმა გააგრძელა რუსთაველის ესთეტიკური იდეალები. „ენის მუსიკალური ენერგიის ჯადოქრობა მას აიყვანს ქართული სიმბოლიზმის მამამთავრად“. საგულისხმოა, რომ ცისფერყანწელები, ევროპელ თანამოკალმეთა მსგავსად, ცდილობდნენ მოდერნიზმის ფესვების ეროვნულ წიაღში დაძებნას. ცისფერყანწელები ასაბუთებდნენ იმ კავშირს, რომელიც არსებობდა სიმბოლიზმსა და ნამდვილ ქართულ პოეზიას შორის (რუსთაველიდან ბესიკამდე). „ინდივიდუალიზმი, თავისუფლება შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს სკოლა (სიმბოლისტების), საქართველოსთვის ახალი არ არის. რუსთაველისა და ბესიკის შემდეგ ამის მტკიცება თითქოს გაუგებრობაა“ (ტიცციან ტაბიძე). ახალმა ცხოვრებამ ხელოვნებასაც ახალი პერსპექტივები გაუჩინა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ „ძველი ქართული პოეტიკა“ იყო ნოციერი ნიადაგი და წყარო სიმბოლიზმისთვის.

**MAKA JOKHADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**The Text of “The Knight in the Panther’s Skin” used as an  
Epigraph in a Georgian Prose According to the Novel  
„Alas! O World...” by Zaira Arsenishvili**

Our work is an attempt to clarify what the purpose of set- at -the –beginning- words, extracted from other, different texts, from the Bible or any other philosophical writing, is by a creator in their literary works. The vast space of “The Knight in the Panther’s Skin” is heavily “mined” with wisdom and laconism characteristic of the epigraph, which in many cases is considered and formed as an aphorism.

Renaissance nature of The Knight in the Panther’s Skin almost perfectly accommodates the artistic layers of the spiritual or psychological-emotional consciousness, worldly and beyond, real and surreal world dimensions. That is why our people called Rustaveli’s The Knight in the Panther’s Skin the Second Gospel and deliberately gave it the importance. It was considered that after the Gospel The Knight in the Panther’s Skin gave the answer to the human’s worldly function, all the cardinal questions on their existence. The metaphysical essence and solar nature of this monument fed the reader’s inspiration, energy. Throughout our ill-fated history, this poem stood beside the people overtired with constant wars and defense like a true friend, encouraging them, giving them hope and treating like a balsam their thinking heart covered with a lot of wounds. That is why The Knight in the Panther’s Skin has not stopped breathing and influencing, as specifically Georgian writing, as well as, generally, the national consciousness.

One of the manifestations of the connections of times, the continuity of time and space is effective power of epigraphs, aphorisms, taken from the text of The Knight in the Panther’s Skin throughout eight centuries. The perfect example of it is the novel “Alas! O World...” by a contemporary Georgian writer Zaiara Arsenishvili. The title taken from Rustaveli’s poem is a kind of intonational tuning-fork of those horrific reprisals which was undergone by several generations during the Soviet era from the 20s to the 50s of the last century. Besides the epigraph set at the beginning of the book, there are 21 more epigraphs used. Each of them proceeds each chapter of the novel. Each epigraph in a Zaiara Arsenishvili’s fictional text helps the reader to navigate in the multi-dimensional labyrinth. By the epigraphs, the substance, the essence of the novel is pre-opened and they are also a kind of compass showing the reader the right way.

## მაკა ჯონსაძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ეპიგრაფად გამოყენებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ქართულ პროზაში (ზაირა არსენიშვილის რომანის „ვა, სოფელო...“-ს მიხედვით)

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, გაარკვიოს, რა მიზანს ემსახურება ის ფაქტი, როდესაც შემოქმედი თავის ლიტერატურულ ნაწარმოებს სხვა, გარეშე ლიტერატურული ტექსტიდან, ბიბლიიდან ან რომელიმე ფილოსოფიური თხზულებიდან ამოღებულ სიტყვებს წარუძღვარებს ეპიგრაფად. „ვეფხისტყაოსნის“ უკიდევანო სივრცე „დანაღმულია“ ეპიგრაფისათვის დამახასიათებელი სიბრძნითა და ლაკონურობით, რომელიც ხშირ შემთხვევაში კომპაქტურად კონცენტრირდება და ფორმდება როგორც აფორიზმი; „ვეფხისტყაოსნის“ რენესანსული ბუნება თითქმის სრულყოფილად იტევს ადამიანური ყოფიერებისა თუ ცნობიერების, სულიერებისა თუ ფსიქოლოგიურ-ემოციური გამოცდილების მხატვრულ დანაშრევებს, ამსოფლიური თუ მიღმიური, რეალური თუ ირეალური სამყაროს განზომილებებს. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ხალხი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ „მეორე სახარებად“ მოიხსენიებდა და სრულიად შეგნებულად ანიჭებდა მას ამ დატვირთვას. მიაჩნდა, რომ სახარების მეორე სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ იძლეოდა პასუხს ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე, მისი არსებობის თითქმის ყველა კარდინალურ შეკითხვაზე. ამ ძეგლის მეტაფიზიკური არსი და მზიური ბუნება კვებავდა მკითხველის შთაგონებას, ენერგიას. ჩვენი ავბედითი ისტორიის მანძილზე მუდმივი ომებითა და თავდაცვით გადაღლილ სწორედ ეს პოემა ედგა მხარში ერთგული მეგობარივით. ამხნევებდა, აიმედებდა და მაღამოდ ეფინა ჭრილობებით დასერილ მის მოაზროვნე გულს. ამიტომ იყო, რომ როგორც კონკრეტულად ქართულ მწერლობაში, ისე ზოგადად, ეროვნულ ცნობიერებაში „ვეფხისტყაოსანს“ თავის სუნთქვა და გავლენა არ შეუწყვეტია; დროთა კავშირის, დროისა და სივრცის უწყვეტობის ერთ-ერთი გამოვლინებაა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან აღებული ეპიგრაფების, აფორიზმების... ქმედითი ძალა 8 საუკუნის მანძილზე. ამის თვალსაჩინო ნიმუშია თანამედროვე მწერლის ზაირა არსენიშვილის რომანი „ვა, სოფელო...“ რუსთაველის პოემიდან აღებული ეს სათაურიც ერთგვარი ინტონაციური კამერტონია იმ საშინელი რეპრესიებისა, რამდენიმე თაობამ რომ განიცადა საბჭოეთში გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე. გარდა წიგნს წამძღვრებული ეპიგრაფისა, რომანში კიდევ 21 ეპიგრაფა გამოყენებული. თითოეული მათგანი წინ უსწრებს რომანის თითოეულ თავს. ყოველი

ეპიგრაფი ზაირა არსენიშვილის მხატვრული ტექსტი მრავალპლანიან ლაბორინთში შესულ მკითხველს ორიენტაციაში შველის. ამ ეპიგრაფებით ხდება რომანის სუბსტანციის, მისი არსის წინასწარ გახსნა და იგი ერთგვარ კომპასსაც წარმოადგენს, რომ მკითხველი სწორ გზაზე დააყენოს.

**MARIAM KARBELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **“The Knight in the Panther’s Skin” as a Piece of Philosophical Genre Novel**

While speaking about *The Knight in the Panther’s Skin* as a philosophical poem or as the problems of a novel, we are attracted by the fact that the small number of works which offer discussions about this issue, prove or reject belonging of the *The Knight in the Panther’s Skin* to the works of philosophical genre. The authors don’t consider theoretical aspect of this specific genre, while it is necessary to do it. Below, I consider the issue as to what are the signs which determine belonging of a piece to the philosophical genre in the theory of literature.

Precursors of a philosophical novel can be found in all forms which adjoin philosophy – in satires of Menipe, Plato’s dialogues, and utopias but it is only the philosophical romance that breathes with real viability.

As a generalizing provision they state that a term “philosophical novel” has two principally differing meaning: the first, the work of philosophical nature, as such, which has acquired a form of expressive narration to achieve emotional soundness, popularity, viability et al. Philosophical novel is especially typical for literature of the period of enlightenment (works by Voltaire, Montesquieu, Diderot, Godwin, and other authors); the second: and not very seldom, they call philosophical the novels which by their artistic essence are more deep and ample ones, e.g. novels by Cervantes, Stendhal, Dostoevsky and others. We have to consider the category such as intellectualism in literature in the context of conception of philosophical novel.

It is absolutely logical that “*Vepkhistkaosani*”, as a piece of philosophical genre, is associated with the political ideas of Rustaveli. By the use of artistic images of every state described in “*Vepkhistkaosani*”, Rustaveli speaks of his social and political opinions, which can be accessed to the end and can be assessed adequately only by consideration of specific works of old Greek philosophers.

To cognize Shota Rustaveli’s ethical/moral and political conceptions in its artistic methods the allusions referring to antique political philosophy should be taken into consideration.

## მარიამ კარგელაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ფილოსოფიური რომანის ჟანრის თხზულება**

ვეფხისტყაოსნის, როგორც ფილოსოფიური პოემის ან რომანის პრობლემებზე საუბრისას ყურადღებას იქცევს ის ვითარება, რომ იმ მცირერიცხოვან ნაშრომებში, სადაც ამ საკითხზეა მსჯელობა – ე.ი. ან ადასტურებს, ან უარყოფს ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური ნაწარმოების ჟანრისადმი კუთვნილებას – ავტორები არ ეხებიან ამ სპეციფიკური ჟანრის თეორიულ მხარეს, თუმცა აუცილებელია. ქვემოთ იმ საკითხს ვეხები, თუ რა არსებითი ნიშნებითაა განსაზღვრული ფილოსოფიური ჟანრის თხზულება ლიტერატურის თეორიაში.

ფილოსოფიური რომანის წინამორბედები შეიძლება ვნახოთ ფილოსოფიასთან მოსაზღვრე ყველა ფორმაში – მენიპეს სატირებში, პლატონის დიალოგებში, უტოპიებში, მაგრამ ჭეშმარიტი ცხოველმყოფელობით მხოლოდ ფილოსოფიური რომანი სუნთქავს.

როგორც განმაზოგადებელ დებულებას, აღნიშნავენ, რომ ტერმინს „ფილოსოფიური რომანი“ ორი არსებითად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს; პირველი: საკუთრივ ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოები, რომელსაც სახეობრივი თხრობის ფორმა აქვს მიღებული ემოციური დამაჯერებლობის, პოპულარობის, სიცოცხლისუნარიანობის და ა.შ. მიზნით. ფილოსოფიური რომანი განსაკუთრებით ტიპიურია განმანათლებლობის ლიტერატურისთვის (ვოლტერის, მონტესკიეს, დიდროს, გოდვინის და სხვა ავტორთა ნაწარმოებები). მეორე: არაიშვიათად ასევე ფილოსოფიურს უწოდებენ თავისი მხატვრული აზრით ყველაზე უფრო ღრმა და ტევად რომანებს, მაგ. სერვანტესის, სტენდალის, დოსტოევსკის და სხვ. რომანებს. ფილოსოფიური რომანის კონცეფციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ ისეთი კატეგორია, როგორცაა ინტელექტუალიზმი ლიტერატურაში.

სრულიად კანონზომიერია, რომ ვეფხისტყაოსანი, როგორც ფილოსოფიური ჟანრის თხზულება, რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულებებთან არის დაკავშირებული. ვეფხისტყაოსანში აღწერილი ყოველი სახელმწიფოს მხატვრული ხატი რუსთაველი საკუთარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს გადმოგვცემს, რომელთა ბოლომდე წვდომა და მართებული შეფასება სრულიად გამორიცხულია სახელმწიფოს შესახებ ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა სპეციალური ნაშრომების გათვალისწინების გარეშე.

მოთა რუსთაველის ეთიკურ-პოლიტიკურ კონცეფციათა შესამეცნებლად მის მხატვრულ მეთოდში გათვალისწინებულ უნდა იქნას ანტიკურ პოლიტიკურ ფილოსოფიაზე მიმანიშნებელი ალუზიები.

**LIA KARICHASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**Prologue of “The Knight in the Panther’s Skin” –  
Pavle Ingorokva’s Conception and Modern Discourse**

Prologue of the “Knight in the Panther’s Skin” has always been the subject of particular attention and discussions of the scientists. Pavle Ingorokva, outstanding scientist, honored Rustaveli researcher of 20th century regarded that the prologue of the poem, similar to the poem itself and its epilogue include interpolations. The researcher regarded as authentic “three prologues”: 1. beginning of the story first; 2. for education of the poets; 3. chapter about lovers; in the inclusions of the prologue, the researcher felt the polemic pathos, he saw opposition between the divine love and love between the characters of the “Knight in the Panther’s Skin”. In the modern researches, Rustaveli’s definition of the types of lovers is not regarded as contradictive, this is one whole, with the gradations. The divine love is supreme, worldly love follows it and embodies it, if it is pure. The researcher saw contradiction in the fact that Rustaveli states that he loves Queen Tamar, but he dispraises the lover who names a person he loves, though, the researcher noted that the poet’s love to the queen was “ideal worship”. And this was Rustaveli’s free thinking that was regarded by the researcher as the main reason of polemics. Pavle Ingorokva’s explanations of certain concepts (e.g. “clever”, “shedding tears and blood”...) or stanzas are of particular interest. He regarded that the stanza “This Persian story translated into Georgian...” were inserted later. Today this stanza is not regarded as later inclusion. It is closely related to the issue of allegoric nature of the poem. According to one of the versions, term “Persian” is interpreted as invented, fairy, worldly; “translated” – in old meaning – is interpreted as “commenting”, explanation. Opposing of “Persian” and “Georgian” as non-Christian and Christian is of interest. Term “Georgian” is used as the synonym of Christian in the religious and literature as well as the literature of renaissance period. It is notable that Rustaveli has used term “Persian” in the sense of non-Christian and “Georgian translation” means understanding or interpretation in Christian respect. In Pavle Ingorokva’s ideas many things are shared and accepted, though there are some issues that are seen differently in modern Rustaveli studies. This deals with composition of the Prologue stanzas and its textual analysis, as well as its worldview and creative aspects. Studying of the concepts and expressiveness of the “Knight in the Panther’s Skin” has clarified many things in quite complicated narration of the Prologue. And the main condition for adequate understanding of the poem is knowledge and due consideration of the literature, culture, esthetic and mode of thinking in Rustaveli’s epoch.



## ლია კარიჭაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი – პავლე ინგოროყვას კონცეფცია და თანამედროვე დისკურსი

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი ყოველთვის იყო მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღებისა და დისკუსიის საგანი. XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი, ღვანლმოსილი რუსთაველოლოგი პავლე ინგოროყვა ფიქრობდა, რომ პოემის პროლოგიც, ისევე როგორც უშუალოდ პოემა და ეპილოგი, შეიცავს ინტერპოლაციებს. მკვლევარი ავთენტურად მიიჩნევდა, „სამ პროლოგს“: 1. ამბისა დასაწყისი პირველი; 2. სწავლისათვის მოშაირეთასა; 3. კარი მიჯნურობისა; პროლოგის ჩანართებში მკვლევარი პოლემიკურ პათოსს გრძნობდა, ხედავდა დაპირისპირებას საღვთო მიჯნურობასა და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მიჯნურობას შორის. თანამედროვე კვლევებში რუსთაველისეული დეფინიცია მიჯნურობის გვარებისა არ აღიქმება წინააღმდეგობრივად, ეს არის ერთი მთლიანობა საფეხურებრივი მიმართებით. საღვთო მიჯნურობა უზენაესია, მას ბაძავს და განასახოვნებს ამქვეყნიური სიყვარული, თუ ის წმინდაა. წინააღმდეგობას ხედავდა მკვლევარი იმაშიც, რომ რუსთაველი აცხადებს თავს თამარ მეფის მიჯნურად, მაგრამ იქვე კიცხავს მიჯნურს, რომელიც თავისი სატროფოს სახელს გაამხელს, თუმცა მკვლევარი თავადვე აღნიშნავდა, რომ პოეტის მიჯნურობა მეფისადმი იყო „იდეალური თაყვანისცემა“. პოლემიკის უმთავრეს მიზეზად კი მკვლევარი რუსთაველის თავისუფალ აზროვნებას მიიჩნევდა. ძალზე საყურადღებოა პროლოგის ცალკეული ცნების (მაგ. „ჭკვიანი“, „სისხლისა ცრემლდათხეული“ ...) ან ამა თუ იმ ტაეპის პავლე ინგოროყვასეული განმარტებები. ტაეპს – „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები...“ – გვიანდელ ჩანართად მიიჩნევდა. დღეისათვის აღნიშნული ტაეპი ჩანართად არ ითვლება. ის მჭიდროდ უკავშირდება თხზულების ალეგორიულობის საკითხს. სიტყვა „სპარსული“ ერთ-ერთი ვერსიით ალეგორიულად განიმარტება, როგორც გამოგონილი, ზღაპრული, ამსოფლიური; ხოლო „თარგმანება“ – ძველი ქართული მნიშვნელობით – განმარტება, „კომენტირება“, ახსნა. საყურადღებოა „სპარსულისა“ და „ქართულის“ შეპირისპირება, როგორც არაქრისტიანულის და ქრისტიანულისა. „ქართულს“ ქრისტიანულის სინონიმად იყენებს როგორც სასულიერო, ასევე ალორძინების ხანის მწერლობა. საგულვეტელია, რომ რუსთაველიც „სპარსულს“ იყენებს არაქრისტიანულის მნიშვნელობით, ხოლო „ქართულად თარგმანება“ ქრისტიანულად მოაზრებას ან ინტერპრეტაციას ნიშნავს. პავლე ინგოროყვას მოსაზრებებში პროლოგის შესახებ ბევრი რამ გაზიარებულია და საგულისხმო, თუმცა



არის საკითხები, რომელთა ხედვა თანამედროვე რუსთველოლოგიაში განსხვავებულია. ეს ეხება როგორც პროლოგის სტროფულ შედგენილობას და ტექსტობრივ ანალიზს, ისე მსოფლმხედველობრივ და მხატვრულ ასპექტებს. „ვეფხისტყაოსნის“ ცნებათმეტყველებისა და სახისმეტყველების კვლევამ ბევრი რამ ნათელყო პროლოგის საკმაოდ რთულ ნარატივში. პოემის სწორად აღთქმის უმთავრეს პირობად კი რჩება რუსთაველის ეპოქის მწერლობის, კულტურის, ესთეტიკისა და აზროვნების წესის ცოდნა და გათვალისწინება.

## **KETEVAN KHITARISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts*

### **One More Folk Version of “The Knight in the Panther’s Skin”**

At K. Kekelidze National Center of Manuscripts there are preserved the records of Konstantine Martvileli about the land of Artaani, where he traveled in the period from 1913 to 1918. He provides detailed description of each village and ruined settlement, ruined church and fortress. One could say that there are provided historical-geographical locations of significant settlements of Artaani District and statistical data of the population in almost all villages; etymology of Georgian names of the villages and ruined settlements are provided as well. The records contain significant legend related to the castle built at Rabat (supposedly Kaji Castle) – legend about Mze-Kala. Legend told by Georgian Moslem – Ibrahim-Beg Sul Khan Mouravi to Konstantine Martvileli about the castle resembles the storyline of the “The Knight in the Panther’s Skin” and it could be regarded as one more folklore samples of the “The Knight in the Panther’s Skin”. It is interesting that the main character of this story is King Tamar (Tamar Kizil Padishah, who is Moslem and builds the mosques). Tariel Beg is cousin of Tamar Kizil Padishah and his wife is Mze-Kala (same as Nestan Darejan). Tariel is physically perfect, strong while Mze-Kala is distinguished with her beauty. In this legend certain places of the “The Knight in the Panther’s Skin” are changed significantly though the main storyline – rescuing of Mze-Kala from Kaji – is repeated without any changes. Certain passages of the poem transformed into the folktales were presented in the context of the people’s religious beliefs; some places are even influenced by social factors. It accumulates the historical past of the nation. Historical memory is the phenomenon necessary for existence of any society, it relies upon accumulation, storage and, what is the most important, it is the main condition for maintaining of the national originality and survival. There are various versions of folk “The Knight in the Panther’s Skin” and these archive materials allow adding one more, Tao-Klarjeti version of folk “The Knight in the Panther’s Skin” to the already known ones.

## ქეთევან ხითარიშვილი

საქართველო, თბილისი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი ვარიანტი

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება კონსტანტინე მარტვილელის ჩანაწერები არტაანის მხარის შესახებ, სადაც იმოგზაურა 1913-1918 წლებში. ის დეტალურად აღწერს თითოეულ სოფელსა თუ ნასოფლარს, ეკლესიის ნანგრევებსა თუ ციხეებს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულია იმ პერიოდის არტაანის ოლქის მნიშვნელოვანი პუნქტების ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა და თითქმის ყველა სოფლის მცხოვრებთა სტატისტიკური მონაცემები; ახსნილია სოფლებისა თუ ნასოფლარების ქართული სახელწოდებების ეტიმოლოგიაც. ჩანაწერებში მნიშვნელოვანია სოფ. რაბათში აგებულ ციხესთან დაკავშირებული (სავარაუდოდ, ქაჯის ციხე) თქმულება მზე-ქალას შესახებ. ქართველი მუსლიმის – იბრაჰიმ-ბეგ სულხან მოურავის მიერ კონსტანტინე მარტვილელისთვის მოთხრობილი ლეგენდა ციხის შესახებ გარკვეულწილად ჰგავს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას და შეიძლება ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთ ფოლკორულ ნიმუშად. საინტერესოა, რომ ამ ამბის მთავარი პერსონაჟია თამარ მეფე (თამარ ყიზილ ფადიშაჰი, რომელიც მუსლიმია და მეჩეთების მასშენებელი). თამარ ყიზილ ფადიშაჰის ბიძამვილია ტარიელ ბეგი, ხოლო მისი მეუღლე კი – მზე-ქალა (იგივე ნესტანდარეჯანი). ტარიელი ფიზიკურად სრულყოფილია, ძლიერია, მზე-ქალა სილამაზით გარკვეული ადგილები მნიშვნელოვნადაა შეცვლილი, თუმცა ფაბულის მთავარი ღერძი – მზე-ქალას ქაჯისგან ხსნის ამბავი – უცვლელად მეორდება. ხალხში ზეპირსიტყვიერების გზით ტრანსფორმირებული პოემის გარკვეული პასაჟები მათი რელიგიური აღმსარებლობის ქრილშია მოცემული; ზოგიერთი ადგილი კი სოციალური ფაქტორებითაც გაიაზრება. მასში კარგად არის აკუმულირებული ერის ისტორიული წარსული. ისტორიული მეხსიერება კი ის მოვლენაა, რომელიც სავალდებულოა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისთვის, ეფუძნება დაგროვებას, შენახვას და რაც მთავარია, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და თვითგადარჩენის უმთავრესი პირობაა. არსებობს ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ვარიანტი, ამ საარქივო მასალით ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ვერსიებს შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ტაოკლარჯული ვარიანტი.

**MARY KHUKHUNAISHVILI-TSIKLARI**

*Georgia, Tbilisi*

*Member of the British Folklore Society*

**Motifs of the Magic Tales in the Oral Narratives of  
“The Knight in the Panther’s Skin”**

Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin” played a significant role in the formation of the oral narratives. The folk narratives of the poem are spread all over Georgia and exist in prose and in the mixed form. They are also nourished with the parallel episodes of the popular Georgian folk traditions and legends: “Amiraniani”, “Eteriani”, “Bejhaniani”, of the folk poetry and of the international motifs of the magic tales which is not accidental. Rustvelologist G. Imedashvili studying the architectonics of the theme of the poem took attention to the scheme of the theme: loss-searching-finding, peculiar to the magic tales, too. In difference with them in the poem the scheme is doubled. Sharing G. Imedashvili’s opinion scientist M. Karbelashvili thinks that the poem genetically is connected to the magic tales. The motifs frequently used in the oral narratives of “The Knight in the Panther’s Skin” are ATU 516 (“Faithful John”), ATU 507 (“The Monster’s Bride”), ATU 449 (“Sidi Numan”) that play an important role in the development of the subject matter. The unknown texts newly discovered in the Folklore Archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature puts on the agenda the necessity of editing the renewed collection of the folk narratives of the poem adding to them the oral narratives published by the various scientists after the publication of the collection of the folklore texts by professor M. Chikovani in 1937. This will help to continue the process of creative collaboration of the folklorists and the specialists in literature on the problems of Rustvelology that is of the high priority until today.

**GOCHA KUCHUKHIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**On One Biblical Reminiscence of “The Knight in the Panther’s Skin”**

The Knight in the Panther’s Skin In our opinion, the words said in the first stanza of the prologue to The Knight in the Panther’s Skin according to which from God “is every monarch in His likeness”, are associated with the Epistle of the Apostle Paul. These words immediately resonate with Paul’s message to the Romans: “Let every person be subject to the governing authorities. For there is no authority except from God, and those that exist have been instituted by God”.

Rom.13: 1). Rustaveli (Rustveli) emphasizes the fact that Georgian monarchs Queen Tamar and David Soslan are given their authority directly from God and everybody's duty is to obey them. It is noteworthy that Rustaveli makes a reference to the Epistle of the Apostle Paul to call attention of those with separatist aspirations to the centralized power. In the mentioned stanza the reader's attention is first directed to the boundless height, one Creator (~He who created the firmament, by that mighty power"), then the poet writes about life created by God... as together with all alive, the angles are also created by God, then it becomes obvious that after mentioning God the poet tries to focus reader's attention on the depths of heavenly forces, heavenly worlds of the angles (~by that mighty power made beings inspired from on high with souls celestial"); then Rustaveli directs reader's attention towards the world ("to us men He has given the world, infinite in variety we possess it"), and finally he mentions a God-given monarch ("from Him (God) is every monarch in His likeness"), and the reader's eye drops even lower. Close scrutiny of the mentioned stanza creates an impression that the poet represents a dynamic picture: the poet's gaze slowly comes down from boundless height: the highest of all, beyond everything and, at the same time, the presence of God in this world, the celestial spheres inhabited by angles ... the world created with multiple colors and people who are governed by a monarch deriving the right to rule from God are presented in a wholeness in this stanza. By describing such dynamic picture the author prepares the reader for listening to Tariel's story, – directs his gaze from top to down and with such beginning attaches special impression to the poem. In connection with all above mentioned of particular attention is the fact that in this stanza a hierarchical order of the world is presented. The reference to the epistle of the Apostle Paul once more emphasizes that Rustaveli's world outlook is Christian Orthodoxy.

## **გორა კუჭუნია**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სახარებისეული რემინისცენცია**

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის პირველ სტროფში ნათქვამი სიტყვები, რომელთა თანახმად, ღმრთისგან „არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერთა“, ჩვენი აზრით, პავლე მოციქულის ეპისტოლესთან არის დაკავშირებული, – ეს სიტყვები უშუალოდ ეხმიანება პავლე მოციქულის ფრაზას: – „ყოველი სული ჴელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ჴელმწიფებად, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი-იგი არიან ჴელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომაელ. 13: 1); რუსთველი ცხადყოფს, რომ საქართველოს მონარქები: თამარ მეფე და დავით სოსლანი ღმრთისაგან არიან დადგინებულნი და ყველა მოვალეა, დაემორჩილოს მათ. საფიქრებელია, რომ თამარი-

სა თუ დავითის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ძალების საყურადღებოდაც მიანიშნებს რუსთველი პავლე მოციქულის ეპისტოლეზე. ხსენებულ სტროფში მკითხველის ყურადღება ჯერ უსაზღვრო სიმაღლეს, ერთ შემოქმედ ღმერთს მიემართება („რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“); შემდეგ ღვთის მიერ შექმნილ სიცოცხლეზე წერს პოეტი... რამდენადაც, ყოველივე ცოცხალთან ერთად, ანგელოზებიც ღმერთის მიერ არიან შექმნილნი, ამდენად, საფიქრებელი ხდება, რომ ღმერთის ხსენების შემდეგ პოეტი ცდილობს, ამჯერად უკვე ანგელოზთა, ზეციურ ძალთა წიაღებისაკენ გადმოიტანოს მკითხველის ყურადღება („ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა“); შემდეგ ქვეყნისაკენ, მიწისაკენ გადმოაქვს რუსთველს მკითხველის მზერა („ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“), ბოლოს ქვეყნად უფლის მიერ დადგინებულ მონარქს ახსენებს („მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა“) და მკითხველის თვალს კიდევ უფრო ქვემოთ ეშვება. ხსენებულ სტროფზე დაკვირვება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ დინამიკურ სურათს წარმოადგენს პოეტი, – უსაზღვრო სიმაღლიდან ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოდის პოეტის მზერა: – ყოველივეზე მაღლა, ყოველივეს მიღმა და, ამავედროულად, სამყაროში მყოფი ღმერთი, ცათა უმაღლესი სფეროები, ანგელოზთა წიაღები... უთვალავი ფერით შექმნილი ქვეყანა და ხალხი, რომელსაც ღმერთისაგან დადგინებული მონარქი განაგებს, ერთ მთლიანობაში წარმოდგება პოემის ამ სტროფში. ავტორი ასეთი დინამიკური სურათის დახატვით ამზადებს მკითხველსა და მსმენელს ტარიელის ამბის მოსასმენად, ზემოდან ქვემოთ წარმართავს მათ მზერას და ამგვარი დასაწყისით განსაკუთრებულ შთამბეჭდაობას ანიჭებს პოემას. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ სტროფში სამყაროს იერარქიულობა არის წარმოდგენილი. პავლე მოციქულის ეპისტოლეზე მინიშნება კიდევ ერთხელ ძალიან ნათლად ცხადყოფს, რომ რუსთველის მსოფლმხედველობა ქრისტიანულია.

**MAIA LOMIA**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhsishvili Tbilisi State University*

**YASUHIRO KOJIMA**

*Japan, Tokyo*

### **The Construction Characteristic of Spontaneous Speech in Vepkhistkaosani and its Translations**

It is known that Vepkhistkaosani (“The Knight in the Panther’s Skin”) contains some types of hypotactic constructions which are characteristic of spon-

taneous speech (I. Gigineishvili, G. Kartoziya). One of such constructions is the so-called initial-nominative construction that is found in oral Georgian as well as in the other non-literate (Unwritten) Kartvelian languages. The name and analysis of the construction in Georgian has been given in Kvantaliani (1990). The initial-nominative construction has a special structure. A noun or nominal phrase in the nominative case stands in the initial position of the construction. It is separated from the following subordinate clause by a period. For example: Dedopali. zǧvasa šeikms, mas rom cremli dauǧvria (1974: 110, 358) Literal translation: “The queen. She makes a sea, who has shed tears.” The presentation provides an analysis of the initial-nominative construction attested in the Kartvelian languages as well as considers how the given construction is delivered in Russian, English, Japanese and other translations of Vepkhistkaosani.

## **მანა ლომია**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **იასუჰირო კოჟიმა**

*იაპონია, ტოკიო*

### **სპონტანური მეტყველებისთვის დამახასიათებელი კონსტრუქცია „ვეფხიტყაოსნის“ ორიგინალურ და თარგმნილ ტექსტში**

ცნობილია, რომ „ვეფხიტყაოსანში“ დასტურდება სპონტანური მეტყველებისთვის დამახასიათებელი ჰიპოთაქსური კონსტრუქციები (ი.გიგინეიშვილი, გ. კარტოზია); მათ შორისაა ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქციაც, რომელიც დამახასიათებელია როგორც ქართული ენის ზეპირმეტყველებისთვის, ასევე უმწერლობო ქართველური ენებისთვის. აღნიშნული ტერმინი და კონსტრუქციის ანალიზი ქართული ენის მასალაზე მოცემულია ლ. კვანტალიანის მონოგრაფიულ გამოკვლევაში (1990). ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქცია თავისებური სტრუქტურისაა: კონსტრუქციის თავში დგას სახელობითში მდგარი სახელი ან სახელური შესიტყვება, რომელიც წერტილით გამოეყოფა მომდევნო ქვენყობილ წინადადებას. მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“: „დედოფალი. ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია“ (1974:110,358). მოხსენებაში გაანალიზებულია ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქცია ქართველური ენების მასალაზე; წარმოჩენილია ასევე, რა ენობრივი საშუალებებითაა გადმოცემული აღნიშნული კონსტრუქცია „ვეფხიტყაოსნის“ ინგლისურ, რუსულ, იაპონურ და სხვა თარგმანებში.

**FIRUZA MELVILLE**

*United Kingdom, Cambridge  
University of Cambridge*

### **The Image of Queen Tamar in Rustaveli and Post-Rustaveli Literature and Culture**

The image of Queen Tamar, mainly due to Rustaveli's masterpiece became known in the west through different channels: from literary translations into Russian and English to other means of artistic expression, like visual art, music, theatre, or ballet. By the beginning of the 20th century Georgia was known as an established centre of not only native Georgian, but both European and Persian culture in the Caucasus. Since it became a key point in the Russo-Perso-British Great Game Georgian literary heritage in the west was associated with oriental exoticism but with a more prominent European flavour than that of Persia proper. One of the examples of such a phenomenon I am going to focus on in my paper will be the ballet 'Thamar' (music by Balakirev, choreographer by Fokine) premiered as part of Dyaghilev's Les Ballets Russes seasons on May 20, 1912 at Theatre du Chatelet in Paris with Tamara Karsavina and Adolph Bolm as the principal dancers. Its libretto was based on one episode from Lermontov's poem drama. The ballet which became one of the most famous gems of Dyaghilev's enterprise is a pure Orientalist fantasy depicting the Queen of Georgia as some sort of cruel Cleopatra-like man-eater who entertains herself with seducing the passing suitors and then executing them. The setting, costumes, choreography and the overall decor by Bakst were inspired not only by the authentically Georgian visual sources but the images of a generic Orient, which betrays their Persian origin. Why and how the Russo-French Thamar acquired an image which had nothing to do with the real Georgian prototype will be explored in my paper

**DAREJAN MENABDE**

*Georgia, Tbilisi  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Aleksandre Tsagareli and Vepkhistkaosani**

In the process of study of the scholarly and literary heritage of Aleksandre Tsagareli (1844-1929), I paid special attention to the scholar's contribution to the translation of Vepkhistkaosani („The Man on the Panther's Skin“) into foreign languages and its popularization. As far as I know, this issue has not been an object of study so far. The present paper is an attempt to describe the activity undertaken by A. Tsagareli in this regard. A. Tsagareli was well aware of the significance of introducing Georgian culture beyond the borders of Georgia. In the period of

living in the old university city of Tübingen, he made the acquaintance of German writer Friedrich Bodenstedt (1819-1892) who had visited Georgia and had published materials on the peoples of the Caucasus. A. Tsagareli aimed to interest Bodenstedt in translating Vepkhistkaosani into the German language. Interesting information around this fact is preserved in his correspondence with Georgian figures. Although this project was not destined to be implemented, the above-mentioned correspondence clearly demonstrates A. Tsagareli's approach towards the translation of Vepkhistkaosani into a foreign language and introducing it to the Europeans. Equally interesting is A. Tsagareli's attitude to the Russian translation of Vepkhistkaosani, which was obvious in his reply to I. Delianov, Minister of Public Education of that period (the question was related to the preparation of a possible complete Russian translation of the text, after the edition of Vepkhistkaosani in 1888). This was not an act of prevention of translation of the text (as was interpreted at that time by some people), but a right decision proceeding from the difficulty and significance of the question. A. Tsagareli treated with great responsibility the issues of translation of Vepkhistkaosani into foreign languages as well as all initiatives related with the poem in general. E.g. in 1888, when Saint-Petersburg University sent A. Tsagareli as its representative to the Eighth International Congress of Orientalists in Stockholm, on the request of the of the Society for the Spreading of Literacy among the Georgians, he presented to King Oscar II of Sweden and Norway, Honorary Chairman of the Congress, the deluxe Georgian edition of Vepkhistkaosani of that time (G. Kartvelishvili 1888).

## **დარეჯან მინაბდი**

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ალექსანდრე ცაგარელი და „ვეფხისტყაოსანი“**

ალექსანდრე ცაგარელის (1844-1929) მეცნიერულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიქცია მისმა დამსახურებამ „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურ ენებზე თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ საკითხით საგანგებოდ არავინ დაინტერესებულა. წინამდებარე ნაშრომი არის ცდა ალ. ცაგარელის ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობის აღნუსხვისა. ცნობილია, რომ პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ, სადაც ალ. ცაგარელი მოღვაწეობდა, სათავე დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ შესწავლას. თ. ბაგრატიონმა, მ. ბროსემ, დ. ჩუბინაშვილმა დიდი ამაგი დასდეს პოემის მეცნიერულ შესწავლასა და ტექსტის პუბლიკაციას. ალ. ცაგარელს, მართალია, რუსთაველოლოგიური კვლევები არ დაუტოვებია, მაგრამ სხვებთან ერთად მანაც შეიტანა წვლილი ამ დიდ საქმეში. ალ. ცაგარელს კარგად ესმოდა, თუ



რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის ქართული კულტურის გატანას საზღვარგარეთ (ამისი ნიმუშია მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი „სიბრძნე-სიცრუისა“ – 1878 წ.). გერმანიის ძველ საუნივერსიტეტო ქალაქ ტიუბინგენში ცხოვრებისას იგი დაუახლოვდა გერმანელ მწერალსა და მთარგმნელს ფრიდრიხ ბოდენშტედტს (1819-1892), რომელიც ნამყოფი იყო საქართველოში და გამოქვეყნებულიც ჰქონდა მასალები კავკასიის ხალხთა შესახებ (იმ დროისათვის ფ. ბოდენშტედტს გერმანულ ენაზე თარგმნილი ჰქონდა პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვ. თხზულებები). ალ. ცაგარელს მიზნად დაუსახავს ფ. ბოდენშტედტის დაინტერესება „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნით. ამ ფაქტის შესახებ საინტერესო მასალაა დაცული მის პირად წერილებში ქართველი მოღვაწეებისადმი. ეს წამოწყება ვერ განხორციელდა, მაგრამ მიმოწერიდან კარგად ჩანს ალ. ცაგარელის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურ ენაზე თარგმნისა და ევროპელთათვის გაცნობის მიმართ. არანაკლებ საინტერესოა ალ. ცაგარელის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანისადმი, რაც ნათლად გამოჩნდა მის პასუხში სახალხო განათლების მინისტრ ი. დელიანოვისადმი (საკითხი ეხებოდა „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის შემდეგ ტექსტის შესაძლო სრული რუსული თარგმანის მომზადებას). ეს იყო არა ხელის შეშლა ტექსტის თარგმნისათვის (როგორც ზოგიერთებმა მაშინ გაიგეს), არამედ, საკითხის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სწორი გადაწყვეტილება. ალ. ცაგარელი უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებოდა „ვეფხისტყაოსნის“ როგორც უცხოურ ენებზე თარგმნას, ისე ზოგადად პოემასთან დაკავშირებულ ყველა წამოწყებას – 1888 წელს, როდესაც სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტმა ალ. ცაგარელი თავის წარმომადგენლად მიავლინა სტოკჰოლმის ორიენტალისტთა მერვე საერთაშორისო კონგრესზე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ თხოვნით მან კონგრესის საპატიო თავმჯდომარეს, შვედეთისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ II-ს მიართვა იმდროინდელი საქართველოს გამორჩეული წიგნი – ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“.

## **SABA METREVELI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **“The Knight in the Panther’s Skin” and Theatre**

There have been many attempts to stage “The Knight in the Panther’s Skin”. For instance: 1. “The Heir of Indian Throne and the Love of Homeland” – Five act tragedy by Goderdzi Piralishvili, written in Russian, 1805. 2. “The Knight in the Panther’s Skin” – Five act tragedy by Okropir Batonishvili, published in Mos-

cow, 1853. 3. Five act play by Giorgi Eristavi, presumably written in 1849-50. 4. Five act drama by A. Tamazashvili, assistant director of Georgian theatre, 1895. 5. Literary – stage composition of “The Knight in the Panther’s Skin” with apotheosis by R. Mkinvari. (Published in Saint Petersburg, 1901.) It is worth mentioning that several librettos have been created based on this poem. For example, libretto by Ivane Machabeli or Mikheil Ipolitov-Ivanov (there are controversial opinions about the author) for the lost opera “Nestan-Darejani”. In 1909, P. Mirianashvili wrote the play “The Knight in the Panther’s Skin”, used as the libretto for the opera “Nestani and Tarieli” by Leo Paliashvili in 1923. Dramatic troupe performed “The Knight in the Panther’s Skin” in Tbilisi and Kutaisi in 1895. In 1912 the play directed by B. Barveli was performed in Kutaisi. Kote Majanishvili started rehearsals in 1923 but eventually the play was not staged. Krakow Poetical Theatre organized literary – theatrical reading of “The Knight in the Panther’s Skin” in 1960. In 1964, directors of Shota Rustaveli Dramatic Theater performed the recitations of episodes from “The Knight in the Panther’s Skin’ ... In the latest decades Robert Sturua, principal artistic director of Rustaveli Theater, announced twice that he was going to stage “The Knight in the Panther’s Skin” but rehearsals have not started yet. It is fact that Georgian dramatic theatre has not managed to produce the play which would be suitable for the poem so far. From our point of view, experiments of producing or staging “The Knight in the Panther’s Skin” is futile owing to the fact that its true essence and significance is expressed through its artistic words. The aesthetics and the outlook of the poem is defined by its literary nature. Therefore, watching its theatrical interpretations will always give us the feeling of insufficiency. If we want “The Knight in the Panther’s Skin” to be staged, we must take into consideration the fact, that the piece will not contain all chapters of the poem and besides, its language will become more prosaic. According to the rule of staging dramatic performances, the poem should be transformed into theatrical text. Thus, without it, even dreaming about staging “The Knight in the Panther’s Skin” is worthless.

## საბა მებრეველი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### „ვეფხისტყაოსანი“ და თეატრალური ხელოვნება

თავდაპირველად „ვეფხისტყაოსანი“ სასცენო ხელოვნებას დაუკავშირდა არა ინსცენირებით, არამედ ე.წ. მხატვრული კითხვით. მეორე ეტაპად უნდა დასახელდეს პოემის ცოცხალ სურათებად დადგმა. 1882 წ. მ. ზიჩმა 4-ჯერ თბილისში და 2-ჯერ ქუთაისში წარმოადგინა საილუსტრაციოდ შერჩეული ეპიზოდები ცოცხალი სურათების სახით. მისი საქართველოდან წასვლის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ

სურათებს ხშირად დგამდნენ (მათ შორის მხატვრები ფილიპოვიჩი და კოლჩინი). საქართველოს გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები წარმოადგინეს პეტერბურგში, მოსკოვში, იურიევში, ხარკოვში, ვლადიკავკაზში, ლაიფციგსა და ბრიუსელში. 1883 წელს ალ. ყაზბეგის ხელმძღვანელობით გამართეს სალამო, რომლის პირველი განყოფილება იყო ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“; 1888 წელს წარმოუდგენიათ სამ განყოფილებად და 55 სანახაობად. მრავალგზის უცდიათ „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება(ც: ა) გოდერძი ფირალიშვილის 5-მოქმედებიანი ტრაგედია „ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი“, დაწერილია რუსულად 1805 წელს; ბ) ოქროპირ ბაგრატიონის 5-მოქმედებიანი ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“, გამოიცა მოსკოვში 1853 წელს; გ) გიორგი ერისთავის 5-მოქმედებიანი პიესა დაწერილი სავარაუდოდ 1849-50 წწ. – ში; დ) ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწის, ა. თამაზაშვილის, დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად, 1895 წ. ე) რ. მყინვარის ლიტერატურულ-სცენური კომპოზიცია „ვეფხისტყაოსნისა“ 16 სურათად, აპოთეოზით (გამოიცა 1901 წელს პეტერბურგში). ცალკე უნდა გამოიყოს ლიბრეტოები: ივანე მაჩაბლისა ან მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვისა (აზრთა სხვადასხვაობა ავტორის შესახებ) ამ უკანასკნელის დაკარგული ოპერისათვის „ნესტან-დარეჯანი“; 1909 წელს პ. მირიანაშვილმა დაწერა პიესა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მოგვიანებით, 1923 წ. ლიბრეტოდ გამოიყენა ლეო ფალიაშვილმა თავისი ოპერა „ნესტანი და ტარიელისათვის“... მრავალგზის უცდიათ „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება(ც: 1895 წელს – დრამატული დასი დგამს თბილისსა და ქუთაისში; 1912 წელს ბ. ბარველის ნამუშევარი ქუთაისში; 1923 წელი – კოტე მარჯანიშვილის მიერ დაწყებული რეპეტიციები (სპექტაკლი არ დადგმულა); 1960 წელს კრაკოვის პოეტურმა თეატრმა მოაწყო „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-თეატრალური კითხვა; 1964 წელს რუსთაველის თეატრში რეჟისორთა მიერ ერთობლივად დადგეს ეპიზოდები „ვეფხისტყაოსნიდან“ მხატვრული კითხვით... მაგრამ დრამატულ თეატრში დღემდე ვერ მოხერხდა პოემის შესაფერი სპექტაკლის დადგმა. ჩვენი აზრით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებისა და დადგმის ექსპერიმენტები უშედეგოა, რადგან ვეფხისტყაოსნობის არსიც და მნიშვნელობაც, უპირველესად, მხატვრულ სიტყვაშია გამოხატული. პოემის ესთეტიკასაც და მსოფლმხედველობასაც მისი ლიტერატურული ბუნება განსაზღვრავს. ამიტომ ყოველთვის იქნება უკმარისობის განცდა მისი სცენური ინტერპრეტაციების ნახვისას.

**IRINE MODEBADZE**

*Georgia, Tbilisi,*

*Shota Rstaveli Institute of Georgian Literature*

**Postmodern Paradigm and Contemporary Russian Translations of  
“The Knight in the Panther’s Skin”  
(Consciousness of translators and interpretative diversity)**

In the 1970s formation of a new cultural paradigm was obvious. The paradigm was called the Postmodern. Unlike the époque of Modern, the postmodern consciousness does not deny the achievements of the past, but its fundamental thesis – ‘Everything is acceptable!’ implies fluctuation of any paradigm. The new trend extended to the translation practice and translated text in the 21 st century is distinguished with its attempt to develop new strategies of translation. The paper analyzes 5 new Russian translations of “The Knight in the Panther’s Skin”, published in recent years. Particular attention is paid to the interpretative innovations of the poem as well as experimental attempts of unification of translation strategies and innovative publishing technologies.

**ირინე მოდებაძე**

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

**პოსტმოდერნის პარადიგმა და „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე  
რუსულენოვანი თარგმანები  
(მთარგმნელთა ცნობიერება და ინტერპრეტაციული  
მრავალფეროვნება)**

გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოაშკარავდა ახალი კულტურული პარადიგმის ჩამოყალიბება, რომელსაც პოსტმოდერნის სახელი უწოდეს. მოდერნის ეპოქისგან განსხვავებით, პოსტმოდერნის ცნობიერება არ უარყოფს წინა ეპოქის კულტურულ მიღწევებს, მაგრამ წამყვან პრინციპად გამოცხადებული თეზისი „ყველაფერი მისაღებია!“ ნებისმიერი პარადიგმის რყევისკენა მიმართული. ახალი მიდგომა მთარგმნელობით პრაქტიკაზეც გავრცელდა და 21-ე საუკუნის თარგმანები ახალი მთარგმნელობითი სტრატეგიების შემუშავების მცდელობებით გამოირჩევა. მოხსენებაში მიმოიხილება ბოლო წლებში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ 5 ახალი რუსულენოვანი თარგმანი. ყურადღების ცენტრში მოქცეულია პოემის ინტერპრეტაციული ინოვაციები და მთარგმნელობითი სტრატეგიებისა და ახალი საგამომცემლო ტექნოლოგიების გაერთიანების მცდელობა-ექსპერიმენტები.

**NANA MREVLISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **General Archetypal Models and Modification Features in “The Knight in the Panther’s Skin”**

Regardless the formal-ideological contrast of ecclesiastical and secular writing monuments, both of them demonstrate such properties, which clearly designate a close relationship between these two monuments. Monument of secular writing germinating from ecclesiastical writing, following the formation into independent genre units, saved not only separate signs of ecclesiastical writing but also the whole system of signs, which gives us an opportunity to discuss this similarity at a paradigmatic level. Currently, our discussion touches the fundamental principles for construction of perfect characters of “The Knight in the Panther’s Skin”, and peculiarities for formation of mental space of these characters. We will try to demonstrate how chronotype is differentiated in the poem, and what kind of influence does it have on the process of definition of psychological profiles of perfect characters, and what specific archetype models are used by Rustaveli and how the initial forms of these models are transformed on the ground of genre or ideological peculiarities? For such typological observation, we have addressed to concrete field of ecclesiastical writing – general models of hagiography, which for its part subsists by bible archetypal models at the time of defining structural types of characters and their activity area.

**ნანა მრევლიშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ზოგადი არქეტიპული მოდელები და მათი მოდიფიცირების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“**

სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლთა ფორმალურ-იდეური კონტრასტის მიუხედავად, ორივე ტიპის ძეგლები გვიჩვენებენ იმგვარ მახასიათებლებს, რომლებიც ცხადად მიანიშნებს ამ ძეგლთა მჭიდრო ურთიერთკავშირს. სასულიერო მწერლობის წიაღ ჩასახული საერო მწერლობის ძეგლები დამოუკიდებელ ჟანრობრივ ერთეულებად ფორმირების შემდგომაც შემოინახავენ არა მხოლოდ ცალკეულ ნიშნებს სასულიერო მწერლობისა, არამედ – ნიშანთა მთელ სისტემას, რომელიც ამ მსგავსების პარადიგმულ დონეზე განხილვის საშუალებას გვაძლევს. ამჯერად ჩვენი მსჯელობა შეეხება „ვეფხისტყაოსანის“ იდეალურ პერსონაჟთა კონსტრუირების ძირეულ პრინციპებს, ამ პერსონაჟთა მენტალური სივრცის ფორმირების თავისებურებებს, შევეცდეთ-

ბით წარმოვაჩინოთ როგორ დიფერენცირდება ქრონოტოპი პოემაში და რა გავლენას ახდენს ის იდეალურ პერსონაჟთა ფსიქოპორტრეტების განსაზღვრის პროცესზე, კონკრეტულად რომელ არქეტიპულ მოდელებს იყენებს რუსთაველი და როგორ ტრანსფორმირდება ამ მოდელთა თავდაპირველი ფორმები ჟანრობრივი თუ მსოფლმხედველობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე. ამგვარი ტიპოლოგიური დაკვირვებისთვის მივმართავთ სასულიერო მწერლობის კონკრეტული სფეროს – აგიოგრაფიული ჟანრის ზოგად მოდელებს, რომლებიც, თავის მხრივ, პერსონაჟთა სტურუქტურული ტიპების, მათი სამოქმედო არეალის განსაზღვრისას საზრდოობს ბიბლიური არქეტიპული მოდელებით.

**MAIA NACHKEBIA**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Baroque World-view in the Sequels of “The Knight in the Panther’s Skin”**

In the studies dealing with the Georgian Baroque, we are first of all attracted by sequels of Rustaveli’s *The Knight in the Panther’s Skin*. This cycle of continuations is the anthology of new literary trend generated in Georgian reality. It is a desire of a suffering soul to express his emotions through the most adored by him heroes;

The Baroque world outlook is evident in the Testament written by Ioseb Tbileli: there is one specific metaphor, which expresses the idea that “Life is a dream”. Metafora “Life is a sleep” “Life is a dream” should be connected with the “picture of the world”, which was seen in reality by a disappointed individual. It was associated with the notions such as “falseness”, “unreliability”, “evil” “wicked” “instantaneous”, “hypocrisy”, “badness” of this world, and therefore, this is the failure of the humanistic Renaissance ideals and it acquires illusory hue in real life;

West European and Slavonic Baroque poets and philosophers were attracted by the main property of a mirror – reflection. In the titles of many works one will find the word “mirror”. In Georgian Baroque we rarely meet a motif of mirror; instead, at the very starting stage of Georgian Baroque (sequels of *The Knight in the Panther’s Skin*) we clearly see a motif of a “shadow” (“life – is a shadow”), as the deepest tragic emotion of a man to express his earthly life essence. In Georgian historic reality it was generated as one of the main metaphors expressing life disharmony typical for Baroque literature in general.

## მანია ნაჭყეზია

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ბაროკოს მსოფლმხედველობა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებში

ქართული ბაროკოს კვლევისას, უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები იპყრობს. დამატებათა ეს ციკლი ქართულ სინამდვილეში აღმოცენებული ახალი ლიტერატურული მიმართულების ანთოლოგიაა, რომელიც ამ თვალსაზრისით ყურადღებით შესწავლის ღირსია. ეს არ არის მოცლილი გრაფომანის კალმის კალმის ვარჯიში ვეფხისტყაოსნის თემაზე, მითუმეტეს რომ რუსთაველმა თავისი პოემა ოპტიმისტურ ნოტაზე დაამთავრა. ესაა შეჭირვებული სულის სურვილი გამოტათოს თავისი განცდები და ამ განცდების გამოსატავს თავისთვის ყველაზე საყვარელი გმირების მეშვეობით;

ბაროკოს მსოფლმხედველობა აშკარად ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ანდერძში, რომელიც იოსებ თბილელის კალამს ეკუთვნის: იქ არის ერთი სპეციფიკური მეტაფორა „ცხოვრება – სიზმარია“. მეტაფორა „ცოვრება – სიზმარია“, „ცხოვრება – ძილია“ ვფიქრობთ, დაკავშირებულია „ცხოვრების იმ სურათთან“, რომელსაც რეალობაში ხედავდა გულგატეხილი ადამიანი. იგი უკავშირდება ისეთ ნარმოდგენებს, როგორიცაა ამსოფლიური ცხოვრების „სიცრუე“, „უხანობა“, „სიავე“, „წამიერება“, „ფლიდობა“, „სიცუდე“, „მიუნდობლობა“ – ეს არის ჰუმანისტური რენესანსული იდეალების კრახი, ხოლო ამქვეყნიური ცხოვრება ამის გამო ილუზორულობის ელფერს იძენს;

დასავლეთევროპელი და სლავური ბაროკოს პოეტები და ფილოსოფოსები მოხიბლულნი იყვნენ სარკის უმთავრესი თვისებით – არეკლვით. ამ პერიოდის მრავალი თხზულების სათაურში ჟღერს სიტყვა „სარკე“. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ბაროკოს პოეზიაში სარკეს იშვიათად ვხვდებით, სამაგიეროდ, მის სანყის ეტაპზევე ძალიან ნათლად იკვეთება ჩრდილის მოტივი: „ვიტყვი, მსგავსია სოფელი, ეს მუხანათი, ჩრდილისა“, რაც ადამიანის მიწიერი ცხოვრების არარაობის, ამქვეყნიური ამოების დეკლარირებაა. ქართულ ისტორიულ რეალობაში იგი სამყაროს დისჰარმონიის გამომხატველ ერთ-ერთი მთავარ მეტაფორად ჩამოყალიბდა, რაც ზოგადად ბაროკოს ლიტერატურისთვის არის დამახასიათებელი.



**IRINA NATSVLISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Problems of Reception of “The Knight in the Panther’s Skin” in Modern Georgian General Education**

For many centuries “The Knight in the Panther’s Skin” has become part of our national mentality. In addition, in the newer centuries, the given book has repeatedly introduced to Europe the forgotten small country Georgia, which has been fallen out of the mutual cultural world due to historic bad luck; country, which, in the conditions of the late medieval mentality and aesthetics gave birth to the such creator as Rustaveli, the completely original author preaching the universal values through poetic speech. Although, if during centuries Georgians cherished “The Knight in the Panther’s Skin” as a Bible, gave it as dowry to brides, adored it and attempted to be like “Tariel-Avtandil” or “Nestan-Tinatini”, today, in the modern era, when Italians open the monument to the Georgian poet in Villa Borghese Park Alley of the Classics and when the great thinker, writer and culturologist Umberto Eco believes the question – Who is Rustaveli? – to be completely improper question to be asked from an educated European, here, in Georgia, for the majority of the youth “The Knight in the Panther’s Skin” is just a part of history, a fairy-tale, which is hard to be understood and accepted; they fail to identify it with their lives and world. It must be admitted that along with the liberal values of the modern technological, globalist and multicultural world, the reason for such a situation are the serious defects in Georgian education system. The defects, which, despite of years of declarative statements still remain as factors hampering the given system and which deepen further against the background of general development. The case is that the programmatic framework and methodic offered for teaching “The Knight in the Panther’s Skin” make the reception of the text, subtext or thinking and aesthetic context of the poem by juveniles completely impossible. It is also noteworthy that although the school publication of “The Knight in the Panther’s Skin” is equipped with proper lexicological apparatus, it has not been modified during over half century and is need of serious modification in accordance with modern researches and requirements. In such a situation separately stands quite an extensive text with its lingual complexity and the educational material, which is more or less given in different, approved handbooks of Georgian language and literature, while its coincidence with the goal and hourly definition of the learning of Rustaveli’s poem is highly doubted. The problem is major and highly concerning. Those field specialists who understand well the role and value of “The Knight in the Panther’s Skin” in the process of both the formation of national identity and humane and aesthetic world perception, have to take special efforts (be it development of a new handbook or adaptation of the teaching form to the world of modern juveniles.



## ირინა ნაცვლიშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **„ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის პრობლემები თანამედროვე ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში**

უკვე არაერთი ასწლეულია „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ეროვნული მენტალობის ნაწილად იქცა. ამასთანავე, ახალ საუკუნეებში ამ ნიგნმა ხელახლა გააცნო ევროპას ისტორიული ბედუკულმართობით საერთო კულტურული სივრციდან ამოვარდნილი და მივიწყებული პატარა ქვეყანა საქართველო, რომელმაც ჯერ კიდევ გვიანი მედიევალური აზროვნებისა და ესთეტიკის პირობებში შვა რუსთაველის დარი შემოქმედი – პოეტური სიტყვით უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა მქადაგებელი სრულიად ორიგინალური ავტორი. თუმცა, თუკი საუკუნეების განმავლობაში ქართველი ბიბლიასავით უფრთხილდებოდა „ვეფხისტყაოსანს“, ქალს მზითვად ატანდა, „სიტყვა-სიტყვად სწენდა, ეალერსებოდა, ხელის-ხელ აგოგმანებდა“, „ტარიელ-ავთანდილობას“ ან „ნესტან-თინათინობას“ ცდილობდა, დღეს, თანამედროვე ეპოქაში, როცა იტალიელები ვილა ბორგეზეს პარკში, კლასიკოსთა ხეივანში ქართველ პოეტს ძეგლს უდგამენ, უდიდესი მოაზროვნე, მწერალი და კულტუროლოგი უმბერტო ეკო კი განათლებული ევროპელისათვის სრულიად შეუფერებლად მიიჩნევს შეკითხვას: „ეს რუსთაველი ვილა იყო?“, აქ, საქართველოში, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილისათვის „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა, ზღაპარი, რომლის მიღება და გათავისება უჭირს, საკუთარ ცხოვრებასთან და სამყაროსთან მის იდენტიფიცირებას ვერ ახერხებს. უნდა ვალიაროთ, რომ ამგვარი ვითარების მიზეზი თანამედროვე ტექნოლოგიური, გლობალისტური და მულტიკულტურული სამყაროს ლიბერალურ ფასეულობებთან ერთად ქართული განათლების სისტემის სერიოზული ხარვეზებია, რომლებიც, მიუხედავად მრავალწლიანი დეკლარაციული განცხადებებისა, მაინც რჩება ამ სისტემის შემაფერხებელ ფაქტორად და უფრო ღრმავდება კიდევ საერთო განვითარების ფონზე. საქმე ის გახლავთ, რომ საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების შემთხვევაში შემოთავაზებული პროგრამული ჩარჩო და მეთოდიკა სრულიად წარმოუდგენელს ხდის მოზარდი თაობის მიერ პოემის როგორც ტექსტის, ისე ქვეტექსტისა თუ სააზროვნო და ესთეტიკური კონტექსტის რეცეფციას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა, თუმცა კი აღჭურვილია კარგი ლექსილოგიური აპარატით, უკვე ნახევარ საუკუ-

ნეზე მეტია არ შეცვლილა და თანამედროვე კვლევებისა და მოთხოვნების შესაბამისად სერიოზული მოდიფიცირება სჭირდება. ასეთი სახით ცალკე დგას საკმაოდ ვრცელი ტექსტი, თავისი ენობრივი სირთულით და ცალკე – ის შემეცნებითი მასალა, რომელიც მეტ-ნაკლებად მოცემულია ქართული ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა გრიფირებულ სახელმძღვანელოში და რომლის შესაბამისობა მიზანთან და რუსთაველის პოემის შესწავლის საათობრივ განსაზღვრულობასთან ფრიად საეჭვოა. პრობლემა მასშტაბურია და შემამოფოთებელი. ამ მხრივ განსაკუთრებული ძალისხმევა მართებთ (იქნება ეს ახალი სახელმძღვანელოს შექმნა თუ სწავლების ფორმის ადაპტირება თანამედროვე მოზარდის სამყაროსთან) დარგის სპეციალისტებს, რომლებსაც კარგად ესმით „ვეფხისტყაოსნის“ როლი და ღირებულება როგორც ეროვნული იდენტობის, ისე ჰუმანური და ესთეტიკური მსოფლალქმის ფორმირების პროცესში.

## **TAMAR NUTSUBIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Shalva Nutsbidze and the Translators of “The Knight in Panther’s Skin”**

One of the main subjects of scholarly and litererary interests of Shalva Nutsbidze (1888-1969), a Georgian philosopher, translator, public benefactor, one of the founders of the Tbilisi State University, were Rustvelological studies and Russian translation of Rustaveli’s epic “The Knight in the Panther’s Skin”. Among the specific manifestations of Shalva Nutsbidze’s Rustvelological activites should be noted as well his relationship with such translations of Rustaveli’s epic as Ruminian translator Victor Kernbach, Polish translator Igor Sikirycki , German translator Hugo Huppert, Japanese translator Fukuro Ippey, French translator Serge Tsuladze. Shalva Nutsbidze provided direct Rustvelological advices to Serge Tsuladze and Hugo Hupper, correspondingly, French and German translators of “The Knight in Tiger’s Skin”. In their letters addressed to Shalva Nutsbidze and in Hugo Huppert’s book of memories “Schach to Doppelgänger” is expressed a deep gratitude of the authors for his assistance in the process of translation. During their stay in Tbilisi Victor Kernbach, Igor Sikirycki and Fukuro Ippey had a meeting with Shalva Nutsbidze and prolonged talks on Rustaveli’s epic. Victor Kernbach, Igor Sikirycki and Fukuro Ippey in the inscriptions on the books of their translations of Rustaveli’s epic presented to Shalva Nutsbidze express their deep respect to him as a translator of the epic into Russian. The relationship of Shalva Nutsbidze with the translators of “The Knight

in the Panther's Skin”, documented in different epistolary and memoir materials, belong to the significant facts of Georgian-foreign literary and cultural contacts in the second half of the XX century.

## **თამარ ნუცუბიძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **შალვა ნუცუბიძე და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები**

შალვა ნუცუბიძის, ლიტერატურათმცოდნის, კულტურის ისტორიკოსის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერული და შემოქმედებითი ინტერესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი და რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება განეკუთვნება. მისი როგორც რუსთველის პოემის რუსულ ენაზე მთარგმნელისა და მკვლევარის მოღვაწეობის ერთ-ერთ სპეციფიკურ გამოვლინებას წარმოადგენს მისი ურთიერთობა „ვეფხისტყაოსნი“-ს უცხო ენებზე ისეთ მთარგმნელებთან, როგორებიც იყვნენ: რუმინელი პოეტი, რომანისტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი ვიქტორ კერნახი (1923-1963), პოლონელი პოეტი და მთარგმნელი იგორ სიკირიციკი (1920-1985), ავსტრიელი პოეტი და მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი (1902-1971), იაპონელი მთარგმნელი ფუკურო იპეი (1897-1971), და ფრანგულ ენაზე მთარგმნელი სერგო ნულაძე (1917-1977). შალვა ნუცუბიძე უშუალო რუსთველოლოგიურ კონსულტაციებს უწევდა სერგო ნულაძესა და ჰუგო ჰუპერტს „ვეფხისტყაოსნი“-ს, შესაბამისად ფრანგული და გერმანული თარგმანის მომზადებისას. შ. ნუცუბიძისადმი გაგზავნილ წერილებსა და ჰუგო ჰუპერტის მოგონებათა წიგნში „Schach dem Doppelgänger“ („ქიში ორეულს“) ღრმა მადლიერების გრძნობაა გამოხატული მის მიერ მათთვის თარგმანის პროცესში განეული დახმარებისათვის. შალვა ნუცუბიძეს შეხვდნენ და რუსთველოლოგიის საკითხებზე ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მასთან „ვეფხისტყაოსნის“ თბილისში ჩამოსული მთარგმნელებს – ვიქტორ კერნახს, იგორ სიკირიციკისა და ფუკურო იპეის. „ვეფხისტყაოსნი“-ს თარგმანების შალვა ნუცუბიძისადმი მიძღვნილ ინსკრიპტებზე რუმინელი მთარგმნელი ვიქტორ კერნახი, იაპონელი მთარგმნელი ფუკურო იპეი და პოლონელი მთარგმნელი იგორ სიკირიციკი გამხატავენ ღრმა პატივისცემას შალვა ნუცუბიძისადმი როგორც მეცნიერისა და რუსთაველის პოემის რუსულ ენაზე მთარგმნელისადმი. შალვა ნუცუბიძის და „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ენებზე მთარგმნელების ურთიერთობა, რაც სხვადასხვა სახის ეპისტოლარულმა და მემუარულმა მასალამ და ინსკრიპტებმა შემოგვინახეს, XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ-უცხოურ ლიტერატურულ და კულტურულ კავშირთა მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს.

**SALOME OMIADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

**“Happiness/Good Luck” and “Misfortune/Bad Luck” in  
“Vepkhistaosani” and Felicity**

Conceptions From the antique epoch until today from the famous felicity conceptions, in the frames of which pursuit to happiness is invariant, and the source of happiness and its locus create variance, deontological theory is the conceptual scheme, the realization of which is the whole “Vepkhistaosani” (“The Knight in the Panther’s Skin”). Any action of the personages of the poem is always based on obligation before anybody (God, lord, friend, sweetheart...). Their happiness also is based on obligation. The heroes of “Vepkhistaosani” became happy only after fulfillment of their obligations. During performing of their obligations, sometimes the fortune favors the heroes of the poem and sometimes does not. Observation on the text of “Vepkhistaosani” from this point of view made clear that the signs of two kinds – external and internal, form the notional component of the concept of the fortune. The external semantic signs are created by such distinctive signs of the concept of the “fortune”, as positive appreciation of his fortune by the subject. This appreciation is of felicity, i.e. this is such an appreciation, when the subject evaluates the correspondence degree of the real fortune with the ideal fortune. The semantic sign creates its basis, making possible to distinguish happy/fortunate events from the unhappy and indifferent from the viewpoint of the felicity events. The essence signs dynamically fill internal semantic space, entering it for Georgians, as ethnolinguistic unity, into typical conceptual schemes. The report will discuss in details the figurative component of the concept “happiness” (“misfortune”), those common linguistic and individual-author’s metaphors and extensive contexts, by means of which Rustaveli “objectifies” abstract essence. “Happiness/Good luck” (“misfortune/bad luck”), “providence” “earthly life” – are the concepts, by description of which is formed complete picture to see “Vepkhistaosani’s” felicity conceptions in the context.

**სალომე ომიადე**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**„ბედი“ და „უბედობა“ „ვეფხისტყაოსანში“ და  
ფელიციტური კონცეფციები**

ანტიკური ხანიდან დღემდე ცნობილ ფელიციტურ კონცეფცი-ათაგან, რომელთა ფარგლებშიც ინვარიანტულია ბედნიერებისაკენ სწრაფვა, ხოლო ვარიანტულობას ბედნიერების წყარო და მისი ლოკუ-სი ქმნის, დეონტოლოგიური თეორიაა ის კონცეპტუალური სქემა,

რომლის ხორცშესხმასაც წარმოადგენს მთელი „ვეფხისტყაოსანი“. პოემის პერსონაჟთა ნებისმიერი ქმედება მუდამ ვილაცის (ღვთის, პატრონის, მეგობრის, მიჯნურის ...) წინაშე არსებული მოვალეობითაა ნაკარნახები. მათი ბედნიერებაც მოვალეობაზე გადის. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები მხოლოდ ვალმოხდილნი ხდებიან ბედნიერები. მოვალეობათა შესრულებისას პოემის გმირებს ხან სწყალობთ ბედი, ხან არა. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ამ მიმართულებით დაკვირვებამ ცხადყო, რომ ბედის კონცეპტის ცნებითი შემადგენელი ორი რიგის – გარე და შიდა – ნიშნებით ყალიბდება. გარეგან სემანტიკურ ნიშნებს ქმნის „ბედის“ ცნების ისეთი დისტინქტური ნიშნები, როგორიცაა სუბიექტის მიერ საკუთარი ბედის დადებითად შეფასება. ეს შეფასება ფელიციტურია, ანუ ისეთი შეფასებაა, როცა სუბიექტი რეალური ბედის იდეალურ ბედთან შესაბამისობის ხარისხს აფასებს. მის საფუძველს ქმნის სემანტიკური ნიშანი, რომელიც საშუალებას იძლევა განვასხვაოთ ბედნიერი მოვლენები უბედური მოვლენებისა და ფელიციტურად განურჩეველი მოვლენებისგან. აღნიშნული კონცეპტის შიდა სემანტიკურ სივრცეს დინამიკურად ავსებს არსითი ნიშნები, რომლებსაც იგი ქართველთათვის, როგორც ეთნოენობრივი ერთობისათვის, ტიპობრივ კონცეპტურ სქემებში შეჰყავს. მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული კონცეპტ „ბედის“ („უბედობის“) ხატოვანი შემადგენელი, ის საერთოენობრივი და ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორები და ვრცელი კონტექსტები, რომელთა საშუალებითაც რუსთველი „ასაგნებს“ აბსტრაქტულ არსს. „ბედი“, „უბედობა“, „განგება“, „სანუთრო“, „სოფელი“ ის კონცეპტებია, რომელთა აღწერითაც სრული სურათი იქმნება „ვეფხისტყაოსნის“ ფელიციტურ კონცეფციათა კონტექსტში დასანახად.

## **NANA PRUIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rstaveli Institute of Georgian Literature*

### **For Interpretation of the Fragment of “Vepkhistkaosani”**

“Vepkhistkaosani” is being studied for many years. In spite of scientists’ hard work, there are several topics that cause variety of opinions; Also there are many parts in the text which demand to be read and considered several times. Now our topic to discuss is etymology of “Sevda” (Sorrow) and expansion of its semantic field throughout the poem. Sevda is mentioned 23 times in text. Another word “Daghreja” which has practically the same meaning as “Sevda” is mentioned only 25 times. “Sevda” is not mentioned in other classic literary works like “Amirandarejaniani”, “Abdulmesiani” and “Tamariani”. The only work that contains the word is “Isramiani”. It is a love-poem and was written in the first

half of the 12th century by poet Pahr Al-din Asad Gorgan. In the poem “Sevda” is mentioned 4 times. “Sevda” is an Arabian word *سواد* (*sawdā*) and means “a black dot in the heart”. It is also explained as “black” and “melancholy”. According to Sul Khan-Saba, “Sevda is the language of others. Georgian it is called Black Navgheli”. In Arabian language Sevda has never had the different meaning, so it could be justified in Georgian with its original sense. Because of historical misfortune we had tight cultural relationship with Arabian world, but Arabic conquest was soon substituted by Turkish. First big Turkish invasion was in 1080 and their expansion was ended after Didgori battle (21th August, 1121). In Turkish language “Sevda” was imported from Arabian but with completely different meaning: “Love”, “Strong love” “Passionate love”. We think that both Sargis Tmogveli and Rustaveli had already known the “new” definition of Sevda and in several occasions they used the new meaning.

## ნანა ფრუიკა

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ერთი ფრაგმენტის ინტერპრეტაციისთვის**

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლას მრავალწლიანი ისტორია აქვს. მიუხედავად მეცნიერთა რამდენიმე თაობის თავდაუზოგავი შრომისა, დღემდე იკვეთება რიგი საკითხებისა, რომელთა შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა; ასევე, მრავლად შეიძლება დაიძებნოს ტექსტში ისეთი ადგილი, რომელიც განსხვავებული ნაკითხვისა და გააზრების სურვილს აღძრავს. ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანი „სევდის“ ეტიმოლოგიისა და პოემაში ამ სიტყვის სემანტიკური ველის გაფართოვების საკითხია. სევდა პოემაში სულ 23-ჯერ არის დამოწმებული, თუმცა, ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ნასესხობის „სიახლით“ არ უნდა იყოს მოტივირებული; პრაქტიკულად ანალოგიური შინაარსის მქონე „დაღრეჯა“, რომელიც წარმომავლობით ქართული სიტყვაა და პოემის ტექსტში ხშირად სევდასთან დაწყვილებული გამოიყენება („მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი..“ 101,1), მხოლოდ 25-ჯერ არის გამოყენებული. რაც შეეხება კლასიკური ხანის სხვა ლიტერატურულ ძეგლებს, „სევდა“ უცხოა „ამირანდარეჯანიანის“ გმირებისათვის; ეს სიტყვა არც „აბდულმესიანსა და „თამარიანში“ არ გვხვდება; სევდა „ნაცნობი“ მხოლოდ „ვისრამიანის გმირებისთვისაა. სპარსელი პოეტის ფაზრ აღ-დინ ასად გორგანის სამიჯნურო პოემის, „ვის ორამინის“ ბრწყინვალე პროზაულ თარგმანში, რომელიც XII საუკუნის I ნახევარში შეიქმნა, „სევდა“ 4-ჯერაა ნახსენები. „სევდა“ არაბული სიტყვაა *سواد* (*sawdā*) და მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი „გულში არსებულ შავ წერტილს“ ნიშნავს; მას ასევე განმარტავენ, როგორც „შავს“ და როგორც „მელანქოლიას“. სულხან საბას მიხედვით, „სევდა

სხვათა ენაა. ქართულად შავი ნავლელი ჰქვიან“. არაბულ ენაში სევ-  
დას განსხვავებული მნიშვნელობა არც არასოდეს ჰქონია და, შესა-  
ბამისად, ქართულ სინამდვილეშიც სწორედ ასე უნდა შემოსულიყო.  
ისტორიული ბედუკულმართობით წყალობით, არაბულ სამყაროსთან  
ძალაუნებურად მჭიდრო კულტურული ურთიერთობა გვქონდა, თუმცა  
არაბობას პირდაპირ ჩაენაცვლა „დიდი თურქობა“. თურქთა პირველი  
დიდი შემოსევა 1080 განხორციელდა და მათ ექსპანსიას ბოლო მხ-  
ოლოდ დიდგორის ომის შემდეგ მოელო (1121 წლის 12 აგვისტო). სევ-  
და თურქულში არაბული ენიდან შევიდა, ოღონდ არა მნიგნობრული,  
არამედ ზეპირმეტყველების გზით. შესაძლოა, ეს არის მიზეზი, რომ  
მისი მნიშვნელობა რამდენადმე შეიცვალა. თურქულში სევდა ცალსახ-  
ად „სიყვარულს“, „ძლიერ სიყვარულს“, „სიყვარულით აღძრულ ვნე-  
ბასა და სურვილს“ ნიშნავს. ვფიქრობთ, როგორც სარგის თმოგველის,  
ისე რუსთველისთვის უკვე კარგად ნაცნობი უნდა ყოფილიყო სევდის  
„ახალი“ მნიშვნელობაც და ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ ამ მნიშ-  
ვნელობით უნდა ჰქონდეთ გამოყენებული.

## **IRMA RATIANI**

*Iv. Javakhishvii Tbilisi State University  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Georgian Medieval Literary Canon and Shota Rustaveli's “The Knight in the Panther's Skin”**

Georgian national literary canon is formed on the three stages of Georgian literary history – Medieval, Romanticism and Post-Sovietstages – and is divided into three cultural variants. Prior from those variants is Medieval stage, within which it is possible to single out as a separate sub-structure the “Rustaveli canon” as the first synthesis of Western and Eastern cultural traditions in Georgian literature. The first sample of the synthesis of criteria of national identity and literary identity is observable.

## **ირმა რატიანი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **შუასუკუნეების ქართული ლიტერატურული კანონი და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“**

ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის მოდელები ქართული ლიტერატურული ისტორიის სამ ეტაპზე ყალიბდება: შუა-საუკუნეების, რომანტიზმისა და პოსტსაბჭოთა ეტაპებზე და სამ კულ-



ტურულ ვარიანტად იყოფა. ამ ვარიანტებიდან უპირველესია შუასა-უკუნეების ქართული ლიტერატურული კანონი, რომლის ფარგლებში, შესაძლებელია, ცალკე სტრუქტურად გამოიყოს „რუსთაველის კანონი“, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურული ტრადიციის პირველი შეხვედრა ართულ მწერლობაში. სახეზეა ნაციონალური იდენტობისა და ლიტერატურული იდენტობის პირველი პრეცედენტი.

**NESTAN SULAVA**

**NANA GONJILASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **For New Understanding of the Internal World of the Main Characters of “The Knight in the Panther’s Skin”**

For many centuries, “The Knight in the Panther’s Skin” was the source of new discoveries, explanations, new interpretations, creative investigations. This is primarily due to new human ideal created by Rustaveli – so high and at the same time so worldly. An individual is placed in the center of Rustaveli’s thinking system, with his own thoughts, judgments, joys and pains, courage and kindness. Shota Rustaveli is interested in internal, mental life of his characters, each nuance of their soul, determining and causing their actions. Emphasizing individual characters, phenomena and facts by the author’s implications provides ground for reading in many respects. The work provides new vision of some episodes and passages of the poem, as well as the nuances of the main characters’ psychological portraits, their sense and meaning are found and described as far as possible.

**ნესტან სულავა**

**ნანა გონჯილაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა შინაგანი სამყაროს ახლებური გააზრებისათვის**

ვეფხისტყაოსანი საუკუნეთა მანძილზე ერთგვარი აღმოჩენების, განმარტებების, ახლებური წაკითხვის, შემოქმედებითი ძიებების, ინტერპრეტაციის წყაროდ იქცა. უპირველეს ყოვლისა, ამას განაპირობებს შოთა რუსთაველის მიერ შექმნილი ადამიანის ახალი იდეალი, თვალმუდგამი და ამავედროულად, აგრერიგად მინიერი. რუსთაველის



სააზროვნო სისტემის ცენტრში ადამიანი დგას, საკუთარი ფიქრითა და განსჯით, სიხარულითა და ტკივილით, გულოვანებითა და გულჩვილობით. შოთა რუსთველს აინტერესებს გმირთა შინაგანი სულიერი ცხოვრება, სულის მოძრაობის ყოველი ნიუანსი, რაც მათ ქმედებებს განსაზღვრავს და განაპირობებს. ავტორისეული ქვეტექსტებით შექმნილი ცალკეული სახის, მოვლენისა და ფაქტის აქცენტირება მრავალპლანიანი ნაკითხვის დასაბამი ხდება. ნაშრომში ახლებური თვალთახედვითაა გააზრებული პოემის ზოგიერთი ეპიზოდი და პასაჟი, გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტის ნარმომამჩენელი ნიუანსები, შეძლებისდაგვარად დაძებნილი და გახსნილია მათი საზრისი და მნიშვნელობა.

**NINO VAKHANIA**

*Georgia, Tbilisi*

*University of Sukhumi*

### **Towards the Parallel of Pavle Ingorokva's One Opinion**

Researcher almost in detail retrieved Shota Rustaveli's biography and clearly presented social and cultural environment taking place in the 12th-13th centuries. Researcher's some opinions may challenge debate of reader, though at the same time always prompts to new suppositions or entirely to discoveries. In accordance with one icon (main martyr Giorgi) kept in Khobi monastery, Pavle Ingorokva concludes that this icon inscribed by the son of Tbeli Grigol of the brother of Shota Rustaveli was taken to Dadianis' family from Hereti by Tsothe's wife named Borena, the daughter of Tbeli. All of the opinions of scientist are well-grounded, argued and based on sources. It is hard not to agree even in details. Under the probability and without any argumentations can be read: Borena may not be Shota's daughter (did it happen that some item belonged to uncle or family treasure used to be given to daughter as a dowry?). It is unclear for us as to how was brought Tamar's cross to Dadians' family. Is it possible that this cross may be belonged to Rustaveli, close relative of Tamar's household and the part of Borena's dowry? or as it is not also clear, where, why and under what conditions was Shota exiled from royal household, why we may not suppose that he temporarily took shelter in West Georgia, at Dadiani's estate (this really was happening throughout our long history) and exactly that time was given Tamar's cross to hosts. Pavle Ingorokva doubtlessly stated that poet women Borena can not be a wife of Bagrat IV (the 11th century) and she undoubtedly is the 13th century poet, namely, Tsothe Dadiani's wife. Borena's verse is inscribed on Lenjeri's icon in Svanteti. By the way, the researcher pays special importance to the inscription on Giorgi Mtatsmindeli's icon and discusses it as literary work and fiction. Possibly

even Shota Rustaveli's brother had a poetic mind, but I do not know, if the text of this inscription was composed by Shota under the request of his brother (As Pavle Ingorokva says, one more possible supposition). It is interesting whether such a case (cases) is (are) acknowledged, when the text of inscription fixed on the icon is order by owner for the other person. Everybody does not agree with the opinion expressed by Pavle Ingorokva is scientific literature stating that Shota, the same Shota Rustaveli is participant of Kokhtistavi conspiracy, though neither opposite argumentation is not duly suggested. Son-in-law and father-in-law may together participated in the conspiracy.

## წინო ვახანია

*საქართველო, თბილისი*

*სოხუმის უნივერსიტეტი*

### პავლე ინგოროყვას ერთი მოსაზრების კვალდაკვალ

უამრავი ისტორიული წყაროს, ლიტერატურული ძეგლის, ხელოვნების ნიმუშის, არქეოლოგიური მონაპოვრის, სამეცნიერო გამოკვლევისა თუ სხვა მონაცემთა შესწავლა და შეჯერება უდევს საფუძვლად პავლე ინგოროყვას გასაოცარ აღმოჩენებსა და მიგნებებს. მკვლევარმა თითქმის დეტალურად აღადგინა შოთა რუსთაველის ბიოგრაფია და მართლად წარმოგვისახა XII-XIII საუკუნეების საზოგადოებრივ-კულტურული გარემო. შეიძლება მეცნიერის ზოგი მოსაზრება საკამათოდ აღძრავდეს მკითხველს, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის უბიძგებს ახალი ვარაუდებისა თუ სულაც აღმოჩენებისკენ. ხობის მონასტერში დაცული ერთი ხატის (გიორგი მთავარმონაშის) მიხედვით პავლე ინგოროყვა ასკვნის, რომ შოთა რუსთაველის ძმის, ტბელი გრიგოლის ძის წარწერიანი ეს ხატი დადიანების ოჯახში ჰერეთიდან ცოტნეს მეუღლის, ტბელის ასულის, ბორენას მეშვეობით მოხვდა. მეცნიერის ყველა მოსაზრება დასაბუთებულია, არგუმენტირებული და წყაროებით გამყარებული. ძნელია თუნდაც წვრილმანში არ დაეთანხმო მას. საეგებიოდ და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ვკითხულობ: არ შეიძლება, რომ ბორენა თვით შოთას ასული იყოს (ხდებოდა ასეთი რამ, რომ ასულისთვის ბიძის კუთვნილი ნივთი, საოჯახო განძი გაეტანებინოთ მზითვად?)? ხომ არ ვიცით, საიდან მოხვდა თამარის გულსაკიდი ჯვარი დადიანებთან. შესაძლებელია თუ არა, რომ ეს ჯვარი თამარის კართან დაახლოებული რუსთაველის კუთვნილება ყოფილიყო და ისიც ბორენას მზითვის ნაწილი იყოს? ან, რაკი არც ის არის ცნობილი, სად, რატომ, რა პირობებით იყო შოთა სამეფო კარიდან განდევნილი, რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი დროებით დასავლეთ საქართველოს, დადიანების სამფლობელოს აფარებდა თავს (ასეთი რამ ხომ ხდებოდა ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე) და თამარის ჯვარიც სწორედ

იმ დროს უსახსოვრა მასპინძლებს. პავლე ინგოროყვას მიერ ეჭვშეუვალადაა დადგენილი, რომ პოეტი ქალი ბორენა ვერ იქნება ბაგრატ IV-ის (XI საუკუნე) მეუღლე, და რომ იგი უთუოდ XIII საუკუნის მოღვაწეა, კერძოდ, ცოტნე დადიანის მეუღლე. ბორენას ლექსი სვანეთში, ლენჯერის ხატზეა წარწერილი. სხვათა შორის, მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს გიორგი მთავარმონამის ხატის წარწერას და განიხილავს მას, როგორც ლიტერატურულ, მხატვრულ ნაწარმოებს. არ არის გამორიცხული, შოთა რუსთაველის ძმაც პოეტური აზროვნებით ყოფილიყო დაჯილდოებული, მაგრამ, არ ვიცი, გამორიცხულია თუ არა, რომ ამ წარწერის ტექსტი შოთას შეედგინა ძმის თხოვნით (კიდევ ერთი, როგორც პავლე ინგოროყვა ამბობს, საეგებო ვარაუდი). საინტერესოა, დასტურდება თუ რა ასეთი შემთხვევა (შემთხვევები), როცა ხატზე წარწერის ტექსტი მფლობელის მიერ შეკვეთილია სხვისთვის? სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ყველას მიერ გაზიარებული პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ კოხტისთავის შეთქმულების მონაწილე შოთა იგივე შოთა რუსთაველია, თუმცა არც სანინააღმდეგო არგუმენტაციაა სათანადოდ წარმოდგენილი. იქნებ სულაც სიძე-სიმამრი ერთად მონაწილეობდა შეთქმულებაში.

**TAMAR VASHAKIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Arnold Chikobava Institute of Linguistics*

### **On the Occasional Formation of the Derivative Forms in “The Knight in the Panther’s Skin”**

The words in “The Knight in the Panther’s Skin” change their colors like chameleons and every time they attract readers with the dazzling charm. The poem is full of variants of unused derivative units with original semantics as well as of completely new, unexpected words for the readers but they are not considered to be artificial nor ambiguous. Each occasional form adequately conveys the intended content and clearly expresses opinions, ideas and emotions... The occasionally derived units in the poem are of two types: a) Derivative forms derived through the modification of initial forms; b) derivative forms the peculiar formation of which can be explained by the activation of affixes. In the first case the function of derivational elements is modified in a manner that a derivative word actually has the same meaning as an initial one. A derivative form is used because of the verse rhyme, e.g. abstract nouns with the suffix –oba like aloba, momavloba, maloba etc. are not motivated functionally. The said forms rhyme

with the word *tskaloba*. The activation of the derivational formants means using those bases for which used formants in a certain case are unfamiliar. The derivative forms derived in this way are distinguished by the exceptional charm, e.g. the degree confix *u- -es* adds to the base *tskhenmal-* and produces the form *utskhenmales*. It should be noted that the latter form is a rhyme unit (cf. *moitvales*, *ipermkrtales*, *anatsvales*). The forms with the affixes *sa- -o* like *sa-gazrdilo* and *dasaghrejilo* are formed with the rare poetic skill. They are also rhyme units (cf. *uadgilo*, *ar-saadvilo*). As it seems a large part of Rustaveli's occasionalisms are the rhyme units and consequently using them is conditioned by the rhyme-rhythmic structure.

## თამარ ვაშაძიძე

*საქართველო, თბილისი*

*არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

### დერივაციულ ფორმათა ოკაზიური წარმოებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ქამელეონივით იცვლიან ფერს სიტყვები „ვეფხისტყაოსანში“ და ყოველ ჯერზე თვალისმომჭრელი ხიბლით იპყრობენ მკითხველს.

პოემაში არაერთგზის დასტურდება მანამდე გამოუყენებელი დერივაციული ერთეულების ორიგინალური სემანტიკით ფრთაშესხმული ვარიანტები, აგრეთვე – სრულიად ახალი, მკითხველისათვის მოულოდნელი, რუსთველისეული ბგერითი სამოსით მოკაზმული სიტყვები, მაგრამ ისინი სულაც არ აღიქმებიან ხელოვნურად, არც ბუნდოვანი იერი დაჰკრავთ... ყოველი ოკაზიური ფორმა ადეკვატურად ასახავს ჩაფიქრებულ თუ გადმოსაცემ შინაარსს და ნათლად წარმოაჩენს სათქმელს, აზრს, ემოციას...

„ვეფხისტყაოსანში“ ოკაზიურად წარმოები სახელები ძირითადად ორი სახისაა: ა) დერივაციული ფორმები, რომლებიც მიღებულია საწარმოებელ ფორმანტთა მოდიფიკაციის გზით და

ბ) წარმოქმნილი ერთეულები, რომელთა თავისებური ქმნადობა აფიქსთა აქტივიზაციით აიხსნება.

პირველ შემთხვევაში მანარმოებელ ელემენტთა ფუნქცია იმგვარადაა მოდიფიცირებული, რომ წარმოქმნილ სახელს ფაქტობრივად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ძირეულს; დერივაციული ფორმის მოხმობა კი ლექსის რითმული ქარგით აიხსნება, მაგალითად, ქვემოთ წარმოდგენილ მონაკვეთში -ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები (ალობა, მომავალობა, მალობა) ფუნქციური საჭიროებით არ არიან მოტივირებული. დასახელებული ფორმები სარიტმო ერთეულებს ქმნიან „წყალობა“ სიტყვასთან:

მითხრა: „დღე ეგე სირცხვილად! მედების გულსა ალობა:  
გგონია ჩემგან წინაშე მაგისტვის მომავალობა,  
მაგრა ან მიდებს იმედსა შენგან ცდისალა მალობა.  
ამას თუ ღირს ვარ, ვერ ვიტყვი, მაკლია ღმრთისა ნყალობა.

სანარმოებელ ფორმანტა აქტივიზაცია კი გულისხმობს ისეთი ფუძეების მოხმობას, რომელთათვისაც უცხოა კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული მანარმოებლები. ამ გზით მიღებული ფორმები განსაკუთრებული ხიბლით გამოირჩევიან, მაგ., „ცხენმალ-“ ფუძეს ერთვის ხარისხის კონფიქსი უ- -ეს - „უცხენმალეს“. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელიც სარიტმო ერთეულია (მდრ.: მოითვალეს, იფერ-მკრთალეს, ანაცვალეს):

რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს,  
იგი პირ-მზე ველარ პოვეს, პირი მათი იფერმკრთალეს,  
მათსა დიდსა სიხარულსა სიმძიმელი ანაცვალეს,  
ყოვლგან რბოდეს საქებარად, ვინცა იყო უცხენმალეს.

იშვიათი პოეტური ოსტატობით არის მიღებული დანიშნულების აფიქსებიანი (სა- -ო) ფორმები – „საგაზრდილო“ და „დასალრეჯილო“ (რომლებიც ასევე სარიტმო ერთეულებს წარმოადგენენ, მდრ.: უადგილო, არ-საადვილო):

უთხრა, თუ „ძმანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა,  
მე იმა ყმისა საქებრად მოვშორდი საგაზრდილოსა.  
ან თქვენგან მივჭხვი საქმესა ყოლა არ-საადვილოსა,  
ღმერთიმცა ნურას ნულა იქმს თქვენსა დასალრეჯილოსა!

როგორც ჩანს, დიდი ნაწილი რუსთველისეული ოკაზიონალიზმების სარიტმო ერთეულებია და, შესაბამისად, მათი მოხმობაც ლექსის რითმულ-რიტმული სტრუქტურით არის განპირობებული.

## **MALINKA VELINOVA**

*Bulgaria, Sofia*

*Sofia University “St. Kliment Ohridski”*

### **Monologue in Shota Rustaveli’s “The Man in the Panther’s Skin” and in French Medieval Literature**

In this paper I shall overview, first, typical uses of varieties of monologue in different genres of French medieval literature. The corpus contains three vitae, three chansons de geste, three verse romances, two lais, and one chantefable, all

of them written in Old French and in the 12th-13th centuries. In exploring the monologues in these works I have paid particular attention to the following aspect of monologues' structure: the micro-structures which attach the monologue to the textual whole, that is, to the verbs of speaking (*verba dicendi*), their lexical semantics and syntactic escort.

Then I shall proceed to an analysis of the forms of monologue in Shota Rustaveli's *The Man in the Panther's Skin*, in order to address the following issues: 1) Is Rustaveli's work more elaborate in representing thoughts and speech, could it represent a later phase of literary evolution, compared to the French works? 2) Is it just different? 3) Does the pattern within which the monologue occurs here tell us something about the genre of this work?

## **RUSUDAN ZEKALASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### **The First Prose Translation of the Georgian Poem „The Knight in the Panther's Skin“ in German for the Young Readers**

There are several translations of the Georgian poem „Knight in the panther's skin“ in German. The earliest of them is the poetic translation by Arthur Leist (Dresden/Leipzig, 1889), then follows Hugo Huppert's translation (Berlin, 1955), Herman Buddensieg's (Tbilisi, 1978; Rendsburg, 1989) and the translation by Marie Prittwitz (Aachen, 2011). It also known that in the 80's of the XIX century, there were some attempts to translate the poem made by Berta and Arthur von Sutner, but unfortunately the version is lost; out of the prose translations there are some which should be noted: the translation by Swiss Kartvelologist Ruth Neukomm (Zurich, 1974) and by Michael Tseretheli (Paris, 1975, edited by Nino Salia); besides those mentioned above, there are also some prose translations dedicated for children: by Felix Pecina (Reutlingen, 1929) and by Viktoria Ruika-Franz (Berlin, 1976). The author of the graphical illustrations is Norbert Pohl. Viktoria Ruika-Franz (born in 1930) is a German children's book writer. The prose translation of the poem „Knight in the panther's skin“ by this author is dedicated for the young readers (from 11); This conditions the comparatively simple language, focusing on the plot and the adventures of the characters. The prose translation by Viktoria Ruika-Franz is accompanied by the concluding remarks of the author, in which brief data about the epoch of the poet Shota Rustaveli and Queen Tamar, about the culture and social structure of feudal era in Georgia, the main characters of the poem are listed and human ideals are given such as: love, friendship, victory of the good over the evil. The plot divides into 15 subsections, geographical names are also insignificantly changed. The purpose of the edition conditions its composition and language peculiarities The text is rich in lexis, in

artistic means, most of which belong to the author but the aspiration and metaphoric diversity of the original poem is fully maintained. Such adopted editions for children are very useful as helping in understanding the fable and awakening interest to the masterpieces from very young age.

## **რუსუდან ზეჟალაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **„ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი გერმანულად ყმანვილთათვის**

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები გერმანულად საკმაოდ მრავალფეროვანია, მათ შორის ყველაზე ადრინდელია არტურ ლაისტის პოეტური თარგმანი (დრეზდენი/ლაიფციგი, 1889), შემდეგ გამოქვეყნდა ჰუგო ჰუპერტის თარგმანი (ბერლინი, 1955), ჰერმან ბუდენზიგისა (თბილისი, 1976; რენდსბურგი, 1989) და მარია პრიტიციცისა (აახენი, 2011); ცნობილია, რომ პოემის თარგმნა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში სცადეს ავსტრიელმა ბერტა და არტურ ფონ ზუტენერებმა, თუმცა თარგმანი დაკარგულია; პროზაულიდან აღსანიშნავია შვეიცარიელი ქართველოლოგის, რუთ ნოიკომის, თარგმანი (ციურხიხი, 1974) და მიხაკო წერეთლისა (1975, პარიზი, ნინო სალიას გამოცემა); ამას გარდა, არსებობს ბავშვებისთვის განკუთვნილი პროზაული თარგმანებიც: ფელიქს პეცინასი (როიტლინგენი, 1929) და ვიქტორია რუიკა-ფრანცისა (ბერლინი, 1976). ჩვენ განვიხილავთ ამ უკანასკნელ გამოცემას, რომლის გრაფიკული ილუსტრაციების ავტორია ნორბერტ პოლი. ვიქტორია რუიკა-ფრანცი (დაბ. 1930) გერმანელი საბავშვო მწერალია, რომელიც ავტორია ნაწარმოებებისა: „მე კოლუმბი ვარ“ (1975), „პატარა თეთრი ვარსკვლავი“ (1976), „თეთრი დათვის ნაკვალევზე“ (1987) და სხვ. „ვეფხისტყაოსნის“ მისეული პროზაული თარგმანი განკუთვნილია ყმანვილებისთვის (11 წლის ასაკიდან), რამაც განაპირობა ტექსტის შედარებით სადა და მარტივი ენა, ძირითადი ყურადღების გადატანა სიუჟეტსა და სათავგადასავლო ამბებზე. წიგნი გამოქვეყნდა რამდენჯერმე (მე-4 გამოცემა დაიბეჭდა 1989, ხოლო ხელახლა გამოიცა 1991 წელს შტუტგარტში). ვიქტორია რუიკა-ფრანცის პროზაულ მონათხრობს ახლავს მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა, რომელშიც მოკლედ მოთხრობილია შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის ეპოქის ფეოდალური საქართველოს კულტურაზე, საზოგადოებრივ წყობასა და სოციალურ ფენებზე, ჩამოთვლილია პოემის მთავარი მოქმედი პირები და ჰუმანური იდეალები: სიყვარული, მეგობრობა, სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე. წიგნს ახლავს ზოგიერთი სიტყვის განმარტებაც, მაგალითად: ძვირფასი თვლების (აყიყი ანუ აქატი, ამარტი ანუ ამეთვისტო, ფაზარი, იაგუნდი, ლაჟვარდი, ძონი, ლალი, ზურმუხ-

ტი, ქარვა...), ისტორიული რეალების აღმნიშვნელი (ვეზირი, მუზარადი, დრაჰმა...) და სხვ. სიუჟეტი დაყოფილია 15 ქვეთავად: იდუმალი უცხო მოყმე, მიჯნურის დავალებით, ორი მზის შეხვედრა, ტარიელისა და მშვენიერი ნესტანის ამბავი, ბრძოლა ხატაელების წინააღმდეგ და სხვ. მოქმედ პირთა სახელები მთარგმნელს უცვლელად აქვს გადატანილი, მხოლოდ ფატმანის ნაცვლად იყენებს ფატმას, ხოლო უსენი შეცვლილია ჰუსეინით, მელიქ-სურხავი – მელექით; გეოგრაფიულ სახელებში მცირეოდენი ცვლილებაა: მულაზანზარი გამარტივებულია მულგაზარით, ხოლო ხვარაზმი თარგმნილია, როგორც სპარსეთის ქვეყანა. გამოცემის დანიშნულება განაპირობებს მის აგებულებასა და ენობრივ სპეციფიკას. ტექსტი მდიდრულია მხატვრული საშუალებები, რომელთა ნაწილი მთარგმნელისეულია, თუმცა ბოლომდე დაცულია პოემის სულისკვეთება და მეტაფორული ფერადოვნება. მსგავსი ადაპტირებული საბავშვო გამოცემები ხელს უწყობს ნაწარმოების სიუჟეტის გაცნობას მცირე ასაკიდან და ინტერესის აღძვრას ამ შედეგის მიმართ.



სტუდენტური სექცია  
Student's Section

**SALOME BOBOKHIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Sota Rustaveli institute of Georgian literature*

**“The Knight in the Panther Skin” and “The Slave”**

It is well tried method for postmodernism to “rewrite” classic piece of works. Exactly this method is used by Irakli Qasrashvili in his story “the slave”. In this story the main passages of “The knight in the panther skin” is repeated, but from the point of view of the slave of the king Rostevan. It is interesting why is it so necessary for contemporary author to go back to twelve century poem and interpret it? As Umberto Eco writes: “middle ages are the root of all our contemporary “hot” problems, and it is not surprising, that, we go back to that period, every time we ask ourselves about our origin” (Eco), so, Qasrashvili addresses to the past, calls out one of the characters of “The knight in the panther skin” and turns him into the son of our epoch, the person who shares: the lost of identity, the misconnection with the past, and the loneliness with our time. And then puts him back to “The knight in the panther skin” and lets him tell the story. As a result we got a character whose origin, parents and even name is unknown. He’s only heard a rumor that he can be the son of the king, but he doesn’t pose questions, doesn’t try to find out who he is and where does he come from, and the only goal of his life, is the safety of the king. Only at the edge of death he gains back his identity, past and childhood: “my vanished and forgotten childhood is coming back” (Qasrashvili) says he. Besides, because the story is perceived and told by the slave, and not by Rustaveli, these well known passages are read differently. Main characters of “the knight in the panther skin” are emptied from their sublimity and “aureoles”, and we get very usual people instead – old and capricious Rostevan, little bit arrogant Tariel, and very arrogant Shermadin, and court with its usual intrigues. This is typical irony of the Postmodernism, reader expects, that main characters of “the knight in the panther skin” are going to be as ideal and ethical, as they are in XII century text, but they get disappointed, because there are no ideal heroes in this story. By doing so author wanted to highlight, how abstract and unreal sublime ideals are compared to our life.

## სალომე ზოზოსიძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### „ვეფხისტყაოსანი“ და „მონა“

პოსტმოდერნიზმისათვის ნაცადი ხერხია კალსიკად ქცეული ნაწარმოებების „გადანერა“. სწორედ ამ ხერხს მიმართავს ირაკლი ქასრაშვილი მოთხრობაში „მონა“.. ნაწარმოებში მეორდება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ძირითადი პერიპეტეიები, ოღონდ უკვე როსტევეან მეფის მონის ხედვითა და აღქმით. საინტერესოა, რისთვის უნდა სჭირდებოდეს თანამედროვე ავტორს მიუბრუნდეს მეთორმეტე საუკუნის ძეგლს და მოახდინოს მისი ინტერპრეტაცია? როგორც უმბერტო ეკო წერს: „შუა საუკუნეები არის სათავე ჩვენი თანამედროვეობის ყველა „ცხელი“ პრობლემისა და გასაკვირი არც არის, რომ ჩვენ ამ პერიოდს ვუბრუნდებით ყოველთვის, როცა თავს ვუსვამთ შეკითხვას საკუთარი წარმოშობის შესახებ“ (ეკო), ასე რომ ქასრაშვილი მიმართავს წარსულს, XXI საუკუნეში გამოიხმობს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟს, აქცევს მას თანამედროვე ეპოქის შვილად, და ხდის დაკარგული იდენტობის, წარსულთან განწყვეტილი კავშირის და მარტოობის თანაზიარს, შემდეგ აბრუნებს უკან, „ვეფხისტყაოსანში“ და უკვე მისი თვალით აღქმულ ამბავს გადმოგვცემს. შედეგად ვიღებთ გმირს, რომლის წარმოშობა, მშობლების ვინაობა და სახელიც კი უცნობია, მას მხოლოდ ჭორად გაუგია, რომ ის შეიძლება მეფის შვილი იყოს. თუმცა, იგი არ სვამს კითხვებს, არ ცდილობს გაერკვეს ვინაა და საიდან მოდის და მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი მეფის უსაფრთხოებაა. მხოლოდ სიკვდილის პირას მყოფი იბრუნებს იგი იდენტობას, წარსულს, ბავშვობას და მშობლიურ სიტბოს: „გამქრალი და მივინყებული ბავშვობა მიბრუნდება“ (ქასრაშვილი) ამბობს იგი. ამასთან, რაკურსის ცვლილებასთან ერთად, სხვაგვარად იკითხება ყველასთვის ცნობილი ამბავი. ყოველგვარი „შარავანდედისაგან“ და სიდიადისაგან იცლებიან ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირები და მათ ნაცვლად ვიღებთ სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებს, მოხუც და ახირებულ როსტევეანს, ცოტა არ იყოს ამპარტავან ავთანდილს, და კიდევ უფრო ამპარტავან შერმანდინს, სამეფო კარს თავისი ჩვეული ინტრიგებით. ეს პოსტმოდერნიზმისათვის ჩვეული ირონიაა, მკითხველი ელის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ისევისეთივე იდეალურებად და ზნეობრივებად წარმოგვიდგებიან, როგორც ეს მეთორმეტე საუკუნის ტექსტშია, თუმცა იმედი უცრუვდება, რადგან ამ მოთხრობაში იდეალური გმირები არ არსებობენ. ამით თანამედროვე ავტორი ხაზს უსვამს თუ როგორი აბსტრაქტული და ირეალურია ამაღლებული იდეალები ყოფიერებასთან შედარებით.

**LEVAN GELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Georgian National Film Center*

### **“The Knight in the Panther’s Skin” Interactive Games**

The article examines the interactive literary games in “The Knight in the Panther’s Skin”. We have analyzed the world of “The Knight in the Panther’s Skin” and of literary works in general, in the form of interactive rules for creating literary games. The work researches literary process of interactive games at the example of The Knight in the Tiger’s Skin and modern fiction. The article shows: re/deconstruction of classics: narrative and receptive strategies. Latin text – “textus” – stands for coherent narration, framing of adhesion. Modern definition of text does not mean just sentences meaningfully connected with each other. By modern understanding, text is a communication act, the form of existence of culture and information; product of a defined historic epoch, a constant reflecting psychic life of an individual. Indefinite growth of the reading technologies as of text consuming frame, including involvement of its design and visual cultural elements resulted in modeling of the new art fields, which is characterized by uniting process of the literature involvement, painting and music in one videogame. For example, we can mention illustrated videogames created based on the literature works; such videogames can be considered as interactive comprehensive videogame of the books. Keywords: The Night in the Panther’s Skin board game; interactive literary games. Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Doctorate Studies, III year; direction – Georgian Literature.

### **ლევან გელაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი*

### **ვეფხისტყაოსნის ინტერაქტიული თამაშები**

სტატიაში განხილულია ვეფხისტყაოსნის ინტერაქტიული ლიტერატურული თამაშები. გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსნის“ და ზოგადად ლიტერატურული თხზულებების სამყარო, როგორც ლიტერატურული თამაშების შექმნისთვის ინტერაქტიული წესები. ნაშრომში გამოკვლეულია „ვეფხისტყაოსანი“ და მწერლობიდან მომდინარე ინტერაქტიული თამაშების ლიტერატურული პროცესი. ნაჩვენებია: კლასიკის რე/დეკონსტრუქცია: ნარატიული და რეცეფციული სტრატეგიები. ლათინურად ტექსტი „ტექსტუს“ შეკავშირებულ თხრობას, გადაბმის შეთხზვას ნიშნავს. ტექსტის თანამედროვე დეფინიცია ტექსტს მხოლოდ ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებულ წინადადებებს არ გულისხმობს. თანამედროვე გაგებით ტექსტი არის

კომუნიკაციური აქტი, კულტურის და ინფორმაციის არსებობის ფორმა. განსაზღვრული ისტორიული ეპოქის პროდუქტი, ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების ამსახველი კონსტანტა. საკითხავი ტექნოლოგიების როგორც ტექსტის მოხმარების ჩარჩოს უსაზღვრო გაფართოებამ და მასში დიზაინის, ვიზუალური კულტურული ელემენტების ჩართულობამ ახალი სახელოვნებო დარგების მოდელირება გამოიწვია, რომელიც ლიტერატურული ჩართულობის, ფერწერის და მუსიკის ერთ ვიდეოთამაშში გაერთიანების პროცესით ხასიათდება. ამის შესაძლო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ილუსტრირებული ვიდეოთამაშები, რომლებიც ნიგნის ინტერაქტიული შემეცნების ვიდეოთამაშებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. საძიებო საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსნის სამაგიდო თამაში, ინტერაქტიული ლიტერატურული თამაშები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დოქტორანტურა III კურსი, მიმართულება ქართული ლიტერატურა ლევან გელაშვილი სექცია: „ვეფხისტყაოსანი“ და თანამედროვე ლიტერატურული პროცესი. კლასიკის რე/დეკონსტრუქცია: ნარაციული და რეცეფციული სტრატეგიები

## **GUBAZ LETODIANI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Reminiscence of Phatman's Character in TitsianTabidze's Poetry**

Phatman-Khatun is the most “non-knightly” and, at the same time, the most different female character. She is the wife of the merchants' ruler; she has a love-mate (Chashnagir) and allows her second love-mate (Avtandil) killing of the first one. It would be hard to imagine that such character would not attract attention of the modernist writers. In this respect, TitsianTabidze's poem “Phatman-Khatun” is of great interest. It presents Phatman as very attractive and unfaithful woman who does not make difference between “Chachnagir and Avtandil”.

For the member of “Blue Horns”, reminiscence of Phatman's character is associated with the modernist tradition and it suits well with the conception and life style of Georgian symbolists, “Phatman kisses the horns filled with wine to the dawn”. Symbolism is known as the art of understanding of the things by means of the symbols. Symbols could be explained by symbolic only and this endless chain creates the esthetics of estrangement. Though estrangement does not exclude introvert understanding of the things and phenomena, what is characteristic for the modernist art.

In the poem subject to study, “Phatman-Khatun” the symbolist attempts of understanding of the character are apparent and this could be seen from the beginning:

“My soul reflects the memories of a passionate maid”...

Epithet “passionate maid” is attributed to Phatman and in the poem this character further “expands” and presents her as a passionate woman with individual nature. The concept of individual as well as individuality, extravagance is the most important line for symbolism, as in the poetry and generally in the art, also in life (recall Titsian Tabidze’s Red Pink). Thus, it is not surprising that this character of the “Knight in the Panther’s Skin” attracted Titsian Tabidze’s attention. Phatman, unsuitable to the esthetics and moral of medieval period, emancipated in some manner is reminiscent, “risen” and interpreted in the different way in the modernist epoch.

In the original poem Phatman is not a main character, a woman of not quite acceptable behavior from the point of medieval thinking. On the other hand, with her different nature, sexuality and hedonist life style she becomes of interest in the modernist epoch. Thus, in our work we shall dual perception of a single character against the background of two different (medieval and modernist) esthetics.

## **გუგაზ ლეთოლიანი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის*

### **ფატმანის სახის რემინისცენცია ტიციან ტაბიძესთან**

ფატმან ხათუნი „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე „არარაინდული“ და ამასთანავე, ყველაზე განსხვავებული ქალი – პერსონაჟია. ის არის ვაჭართა ხელმწიფის ცოლი, ჰყავს საყვარელი (ჭაშნაგირი) და მეორე საყვარელს (ავთანდილს) აკვლევინებს პირველ საყვარელს. წარმოუდგენელია ასეთი ხასიათი ყურადღების მიღმა დარჩენოდა მოდერნისტი მწერლის ხედვას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ტიციან ტაბიძის ლექსი „ფატმან ხათუნი“. მასში ფატმანი წარმოგვიდგება მიმზიდველ და თან მოღალატე ქალად, რომლისთვისაც „ერთია ჩაჩნაგირი და ავთანდილი“. „ცისფერი ყანწების“ წვერისთვის ფატმანის სახის რემინისცენცია მოდერნისტულ ტრადიციას უკავშირდება და ქართველი სიმბოლისტების კონცეფციასა თუ ცხოვრებითულ სტილსაც ესადაგება, „ალიონამდე ჰკოცნის ფატმან ავსებულ ყანწებს“. სიმბოლიზმი ცნობილია როგორც საგნების წვდომის ხელოვნება სიმბოლოთა მეშვეობით. სიმბოლო ისევე სიმბოლოთი თუ აიხსნება, ეს დაუსრულებელი ჯაჭვი ქმნის გაუცხოების ესთეტიკას. თუმცა გაუცხოება არ გამორიცხავს საგნისა თუ მოვლენის ინტროვერტულ წვდომას, რაც ასე ნიშნულია მოდერნისტული ხელოვნებისთვის. განსახილველ ლექსში „ფატმან ხათუნი“ ნათლად ჩანს პერსონაჟის სახის წვდომის სიმბოლისტური ცდა, ამას დასაწყისიც მოწმობს: „ჩემს სულს ასარკებს მოგონება ცხელი ასულის“... ეპიტეთი „ცხელი ასული“ მიემართება ფატმანს, ლექ-

სში ეს სახე კიდევ უფრო „ფართოვდება“ და პერსონაჟს წარმოაჩენს მგზნებარე, ინდივიდუალობის მქონე ქალად. ინდივიდის ცნება თუ თავად ინდივიდუალობა, ქსტრავაგანტულობა უმნიშვნელოვანესი ხაზია სიმბოლიზმისთვის, როგორც პოეზიასა და ზოგადად, ხელოვნებაში, ასევე ყოფით ცხოვრებაში (გავიხსენოთ, ტიციან ტაბიძის წითელი მიხაკი). ამდენად, გასაკვირი არ არის თუ რატომ მოექცა „ვეფხისტყაოსნის“ ეს პერსონაჟი ტიციან ტაბიძის ხედვის არეალში. შუა საუკუნეების ესთეტიკასა და მორალთან შეუსაბამო, ერთგვარად ემანსიპირებული ფატმანი მოდერნულ ეპოქაში რემინისცირებული, „აღმდგარი“ და სხვაგვარად ინტერპრეტირებულია. ფატმანი ორიგინალ ნაწარმოებში მეორეხარისხოვანი პერსონაჟია, რომელიც შუასაუკუნეობრივი აზროვნების გადმოსახედიდან, არც თუ ისე მისაღები ყოფაქცევის ქალია. მეორე მხრივ, თავისი განსხვავებულობით, სექსუალობით თუ ჰედონისტური ცხოვრების სტილით საინტერესო ხდება მოდერნული ეპოქისთვის. ამგვარად, ჩვენს მოხსენებაში წარმოვადგენთ, ერთი სახის ორმაგ აღქმას განსხვავებული (შუა საუკუნეებისა და მოდერნიზმის) ესთეტიკის ფონზე.

## **IVANE MCHEDELADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### **“This Persian Tale, Now Done Into Georgian” - Reception of the Plot of “The Knight in the Panther’s Skin” in Polish and Ukrainian Literary Critique**

The reception of the “The Knight in the Panther’s Skin” (KPS), both in Polish and Ukrainian literary critique, is associated with the works and essays by prominent statesmen and literary critics of the 19th century (K. Lapchinski, A. Leist, M. Gulak, O. Lototski, etc.) which laid the foundation for new, different standard research and translations in the 20th century. These works reveal different attitudes and determination regarding popularisation of the poem, employing various means, specifically, translations (both partial poetic or prosaic), within the context of World Literature. The research data are based on Polish and Ukrainian works from the end of the 19th century and beginning of the 20th century, which present relevant material from the point of comparative studies. As is known, Rustaveli studies in Poland played an important role in the process of development and enhancement of Rustaveli’s works in Europe. Interestingly, the works by Polish authors come under the radar of the Ukrainian literary critics more often than those by Russian authors of the same period. Despite inaccuracies typical of the research of the period, these studies reveal a shared tendency. Both

Polish and Ukrainian scholars employ genetic-contact and typological methods; In addition, they analyse the work within the context of the Georgian historical reality (the epoch of Queen Tamar, Tamar and Shota Rustaveli) as well as in the context of Medieval World literature. Therefore, the authors continue the European line of the research of the epic devoid of political interpretations. Focussing on comparative analysis, this paper discusses a core issue of the plot of the KPS – the oriental origin of the epic (“This Persian tale, now done into Georgian”) as reflected in the works by Lapchinski, Leist, Gulak, Lototski and Malaniuk. According to reputable scholarly sources, besides being a literary and cultural problem, it also poses a geopolitical problem (M. Karbelashvili). This issue is also discussed in a less-known work by a Ukrainian emigrant and prominent culturologist E.Malaniuk, published in Poland (Wschod/orient 1933, Rok IV.Nr), and recently discovered and explored. This paper pays particular attention to the depiction of the epic’s plot within the context of E. Malaniuk’s theory (synthesis of Eastern and Western cultures).

## **ივანე მჭედლაძე**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **„ეგე ამბავი სპარსული...“: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის რეცეფცია პოლონურ და უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში**

„ვეფხისტყაოსნის“ რეცეფცია როგორც პოლონურ ისე უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში უკავშირდება XIX საუკუნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსა და ლიტერატურათმცოდნეების ნაშრომებს (კ. ლაპჩინსკი, ა. ლაისტი, მ. გულაკი, ო. ლოტოცკი და სხვ.), აღნიშნულმა თარგმანებმა და ნარკვევებმა მოამზადა ნაყოფიერი ბაზა მეოცე საუკუნის ახალი, უკვე განსხვავებული დონის კვლევებისა და თარგმანებისათვის. ნაშრომები განსხვავდება მიზანდასახულობითა და მიდგომებით – იქნება ეს პოემის პოპულარიზაცია სხვადასხვა საშუალებებით – თარგმანების (არასრული პოეტური, პროზაული) თუ მისი შესწავლა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. საკვლევად შერჩეულია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი პოლონური და უკრაინული ნაშრომები, რომლებიც კომპარატივისტული კვლევებისთვის ღირებულ ემპირიულ მასალას წარმოადგენს. როგორც ცნობილია პოლონურმა რუსთველოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპული რუსთველოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. პოლონელი ავტორების ნაშრომები უკრაინელი ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების არეალში ექცევა უფრო მეტად, ვიდრე ამავე პერიოდში შექმნილი რუსი ავტორების ნაშრომები. აღნიშნული კვლევები ავლენენ საერთო ტენდენციას: ამ პერიოდის კვლევებისთვის დამახასიათებელი უზუსტობების მიუხედავად, პოლონელი და

უკრაინელი მკვლევრები იყენებენ პოემის კვლევის გენეტიკურ-კონტაქტურ და ტიპოლოგიურ მეთოდებს; ისინი ნაწარმოებს ანალიზებენ როგორც ქართული ისტორიული რეალობის (თამარის ეპოქა, თამარ მეფე და შოთა რუსთველი), ისე შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. ავტორები ამით პოემის კვლევის ევროპულ ხაზს აგრძელებენ და არ ვხვდებით ნაწარმოების ინტერპრეტაციის პოლიტიკურ ასპექტებს. კომპარატივისტული ანალიზის მეთოდით მოხსენებაში განხილული იქნება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის საკვანძო საკითხი – პოემის აღმოსავლური წარმომავლობის („ესე ამბავი სპარსული...“) პრობლემის გააზრება კ. ლაპჩინსკის, ა. ლაისტის, მ. გულაკის, ო. ლოტოცკის, ე. მალანიუკის ნაშრომებში. ეს საკითხი ავტორიტეტული სამეცნიერო წყაროების მიხედვით ლიტერატურათმცოდნეობითი და კულტუროლოგიურის გარდა გეოპოლიტიკურ (მ. კარბელაშვილი) პრობლემასაც წარმოადგენს. აღნიშნულ სამეცნიერო პრობლემატიკას ვხვდებით უკრაინელი ემიგრანტისა და ცნობილი კულტუროლოგის ე. მალანიუკის ერთ ნაკლებადცნობილ პუბლიკაციაში, რომელიც დაიბეჭდა პოლონურ გამომცემაში (Wschod/orient 1933, Rok IV.Nr), მისი მოძიება და საკითხის დადგენა ახლახან მოხერხდა, აღნიშნული ნაშრომი ყურადღებას იქცევს პოემის სიუჟეტის გააზრებას ე. მალანიუკის თეორიული ნააზრევის (აღმოსავლურ-დასავლური კულტურათა სინთეზის) კონტექსტში.

**LILI METREVELI  
TATIA OBOLADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Nuradin Pridon – Character Traveling from One Text to the Other**

By “borrowing” of the characters of classical text of the “The Knight in the Panther’s Skin” (Nuradin Pridon, Patman Khanum, Chashnagir), contemporary Georgian writer, Aka Morchiladze applies one of the techniques characteristic for post-modernist narrative, in particular, he liberates the character from the time and space limits and ideological imperative of the “Knight in the Panther’s Skin”. For discussion we have ed two stories by Aka Morchiladze – “The Book” and “Story of the Tiger and Commander (Oriental Detective Story)”, the main character of which is one of the distinguished characters in the “The Knight in the Panther’s Skin” – King of Murghazanzar, Nuradin Pridon. On one hand, it is significant to



identify the motivation of the character distanced from the classical text having different worldview in the story “The Book” and highlight position of Nuradin Pridon with new consciousness doubting super-temporal values of the “Knight in the Panther’s Skin”. And on the other hand, clarify creative-esthetic function of Nuradin Pridon, acting at the turn of literary (context of the “Knight in the Panther’s Skin”) and historical (completion of the process of unification of Georgia – freeing of Tbilisi from Arabs by David the Builder) times in post-modernist story by Aka Morchiladze “Story of the Tiger and Commander (Oriental Detective Story)”. Our goal is, primarily, to clarify the relation of Aka Morchiladze’s texts to the “The Knight in the Panther’s Skin” and find out, why the post-modernist author has made one and the same character from the same text the main character of his two different stories.

## **ლილი მეტრეველი თათია ოზოლაძე**

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ტექსტებში მოგზაური პერსონაჟი – ნურადინ ფრიდონი**

„სესხებით“ თანამედროვე ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე პოსტმოდერნისტული ნარატივისთვის ერთ-ერთ ნიშანდობლივ ხერხს მიმართავს, კერძოდ, ათავისუფლებს პერსონაჟს „ვეფხისტყაოსნის“ დროსივცრული საზღვრებისა და იდეურ-მსოფლმხედველობრივი იმპერატივისაგან. განსახილველად შევარჩიეთ აკა მორჩილაძის ორი მოთხრობა „ნიგნი“ და „ამბავი ვეფხვისა და ასისთავისა (აღმოსავლური დეტექსტივი)“, რომელთა მთავარი პერსონაჟი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამორჩეული გმირი მულაზანზარის მეფე – ნურადინ ფრიდონია. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, დავადგინოთ კლასიკური ტექსტისგან დისტანცირებული, განსხვავებული მსოფლალქმის მქონე მხატვრული გმირის მოქმედების მოტივი მოთხრობაში „ნიგნი“ და გამოკვეთოთ „ვეფხისტყაოსნის“ ზედროულ ღირებულებებზე დაქვეყნებული ახალი ცნობიერების მქონე ნურადინ ფრიდონის პოზიცია. მეორე მხრივ, კი გავარკვიოთ მხატვრული („ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტი) და ისტორიული (საქართველოს გაერთიანების პროცესის დასრულება – დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის არაბებისგან გათავისუფლება) დროების ზღურბლზე მოქმედი პერსონაჟის, ნურადინ ფრიდონის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია აკა მორჩილაძის პოსტმოდერნისტულ მოთხრობაში „ამბავი ვეფხვისა და ასისთავისა (აღმოსავლური დეტექსტივი)“. ჩვენი მიზანია, უპირველესად, განვსაზღვროთ აკა

მორჩილადის ტექსტების მიმართება „ვეფხისტყაოსანთან“ და გავარკვიოთ, რატომ აქცია პოსტმოდერნისტმა ავტორმა ორი განსხვავებული მოთხრობის მთავარ გმირად ერთი და იმავე ტექსტის ერთი და იგივე პერსონაჟი.

## **DAVID NACHKEBIA**

*Georgia, Tbilisi*

*MA Student*

### **Declension of the Anthroponyms in Nominative, Narrative and Vocative Cases in “The Knight in the Panther’s Skin”**

In this work I discuss the declension of the anthroponyms in the poem into 3 cases, emphasize their distinct features and poet’s approach about this issue.

There is only one name mentioned into narrative case and that is – ‘Asmat’. When there is a discussion in scientific literature about anthropoymys in narrative case in ‘The Knight in the Panther’s Skin’, as usual there is mentioned a form ‘Asmatman’, but none of them has paid their attention to the fact that in the poem, there is no other anthrophonym in a simmlar form.

The circumstance that in narrative case “Asmatman” has a fixed form and this is noticed not just only once but five times, made me think that there were some factors that influenced and that it was not a plain circumstance.

The most number of the mentioned anthroponyms in ‘The Knight in the Panther’s Skin’ have four syllables. The point is that adding narrative case’s sign on these names would have slowed down the expressivity of the poetry and the rhythm would have become sluggish and rough.

But if we take into consider this version, then what can we say about the anthroponyms, which have three syllables like ‘Asmat’ has, but still are used without the case: Patmani, Nestani, Usami, Useni, Pridoni, Sograti, Davari ?!... I think that is the reason behind all of this. The main reason is that the form “Patman” has an ending with “man” and adding the form of narrative case’s form “man” on this word would have given us phonetically shapeless form: “Patmanman”. Even the form “Nestan” has an ending “an” and we’ve got the same situation: “Nestanman”. In the form of “Usam” we would have double “m”: “Usamman”. In the words “Usen” and “Pridon” there would be neighbouring two “n”: “Usenman” and “Pridonman”.

How can we deal with the forms of ‘Socrat’ and ‘Davar’ ?!... The answer is simple, there is no usage of the word ‘Socrat’ in narrative case in the poem so we can’t define how could Rustaveli have written the form of this word.

Conclusion: Rustaveli tried to avoid using the signs of narrative case with anthroponyms because of the phonetic reasons.

But I think that the main reason of using the forms without the sign of the case in anthroponyms with four syllables is the redundant usage of the syllables but we can't exclude the idea, that not using the sign of the case is because the author wanted to avoid using lots of syllables together, and also Rustaveli tried to avoid the words which were difficult to pronounce.

There is one circumstance for this idea: we can notice one abrupt tendency: generally, Rustaveli is for the idea to get everyday speaking close to the language of literature.

## **დავით ნაჭყვიაძე**

*საქართველო, თბილისი  
მაგისტრანტი*

### **ანთროპონიმთა ბრუნება სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში „ვეფხისტყაოსანში“**

ნაშრომში განვიხილავ ანთროპონიმთა ბრუნების თავისებურებებს რუსთველის პოემაში. შეიძლება ითქვას, რომ ორ ბრუნვაში (სახელობითსა და წოდებითში) ახალს არაფერს ვამბობ და ძირითადად ვეყრდნობი არსებულ ლიტერატურას. რაც შეეხება მოთხრობით ბრუნვას, ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით მხოლოდ „ასმათ“ სახელია დაფიქსირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობით ბრუნვის ნიშნიან ანთროპონიმზეა მსჯელობა, ჩვეულებრივ, მოყავთ „ასმათმან“ ფორმა, მაგრამ არც ერთს არა აქვს ყურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ ამ ფორმით სხვა ანთროპონიმი არ ფიქსირდება. იმ გარემოებამ, რომ მოთხრობითის ბრუნვის ნიშნით მხოლოდ „ასმათმან“ ფორმა დასტურდება და ისიც არა ერთხელ, არამედ – 5-ჯერ, მაფიქრებინა, რომ ამას რაღაც ფაქტორი განაპირობებდა და არა უბრალოდ შემთხვევითობა. ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ დაფიქსირებულ ანთროპონიმთა უმეტესობა სამმარცვლიანია: ტარიელ, ფარსადან, სარიდან, ავთანდილ, თინათინ, როსტევეან, შერმადინ. საქმე ისაა, რომ ამათთვის მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის დართვა შეანელებდა ლექსის ექსპრესიულობას და რიტმი მდორე და მოუხეშავი გახდებოდა. ამას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ, რიგ შემთხვევებში, რუსთველი საჭიროებისამებრ ამოკლებს ამ ფორმებს: ტარიელი//ტარია, როსტევეანი//როსტანი. მაგრამ თუ დავუშვებთ ამ ვერსიას, მაშინ რა უნდა ვთქვათ იმ ანთროპონიმებზე, რომლებიც „ასმათ“-ის მსგავსად ორმარცვლიანები არიან, მაგრამ მაინც ბრუნვის ნიშნის გარეშე არიან წარმოდგენილნი: ფატმან, ნესტან, უსამ, უსენ, ფრიდონ, სოგრატ,

დავარ?!.. საქმე ისაა, რომ „ფატმან“ ფორმა „მან“-ით მთავრდება და მასზე კიდევ მოთხრობითი ბრუნვის „მან“ ნიშნის დართვა მოგვცემდა პოეტურად უსახურ ფორმას (ორი „მან“ მოიყრიდა თავს): „ფატმან-მან“; რა მოვუხერხოთ „სოგრატ“ და „დავარ“ ფორმებს, რომლებიც არ ბოლოვებიან ან(მან)-ით?!.. პასუხი მარტივია: „სოგრატ“ მოთხრობითში საერთოდ არაა ტექსტში გამოყენებული და, შესაბამისად, ვერ განვსაზღვრავთ რა ფორმით შეიძლება დაენერა რუსთველს იგი; „დავარ“ კი მხოლოდ ერთხელ ფიქსირდება მოთხრობით ბრუნვაში ნიშნის გარეშე, რაც არანაირი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს; „ასმათ“ მოთხრობით ბრუნვაში დაფიქსირებულია როგორც ბრუნვის ნიშნით, ასევე – ნიშნის გარეშე, შესაბამისად, ვერ განვსაზღვრავთ, სხვა შემთხვევაში რა ფორმით დაწერდა რუსთველი „დავარ“-ს მოთხრობითში: ნიშნით თუ ნიშნის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ სამმარცვლიან ანთროპონიმებზე: როსტევიან, სარიდან, ფარსადან, დარეჯან. რადგანაც ისინი ბოლოვდებიან „ან“-ზე, მოთხრობითი ბრუნვის „მან“-ის დართვა ძნელად გამოსათქმელ სიტყვა-ფორმებს წარმოქმნიდა. ასევე, „თინათინ“ და „შერმადინ“ ფორმებშიც ორი „ნ“ მოიყრიდა თავს. დასკვნა: რუსთველი ანთროპონიმებთან მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გამოყენებას მოერიდა ფონეტიკურ ნიადაგზე. პოემაში დაფიქსირებული ანთროპონიმებიდან ერთადერთი სახელია „ასმათ“, რომელზეც მოთხრობითი ბრუნვის „მან“ ნიშნის დართვა არანაირ ფონეტიკურ უხერხულობას არ იწვევს და სწორედ იგი გვევლინება ბრუნვის ნიშნით. მაგრამ სამმარცვლიან ანთროპონიმებში უბრუნვისნიშნო ფორმების გამოყენებაში გადამწყვეტ ფაქტორად მაინც მარცვალთა ჭარბი რაოდენობა მიმაჩნია, თუმცა არც ისაა გამორიცხული რომ უბრუნვისნიშნო ფორმის გამოყენებას მრავალმარცვლიანობის თავიდან არიდებასთან ერთად, რუსთველი ძნელად გამოსათქმელ სიტყვაფორმებსაც მორიდებოდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს შემდეგი გარემოება: „ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება ერთი მკვეთრად გამოვლენილი ტენდენცია: რუსთველი, ზოგადად, მიესალმება ცოცხალი მეტყველების დაახლოებას სალიტერატურო ენასთან.